საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რომლისაც ბოჭდ-ვუნი სიფფუვაა, ფფუილებით და ჭიანებით ბუნ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 7 ნოემბერი. 2018 წ. №224 (8625) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ავის დავიწყება შეუძლებელია!



2007 წლის 7 ნოემბერი

„არა – ნაციზმს“!!!

„მეგობრებო! მოგმართავთ ყველა იმ ადამიანს, ვინც 2007 წლის 7 ნოემბერს ვიდექით პარლამენტის წინ, ვიდექით იქ, სადაც წყდებოდა ჩვენი ქვეყნის ბედი და სადაც მშვიდობიანი აქციის მონაწილეებს დაგვიპირისპირდა მთელი რეჟიმის მანქანა, დაგვიპირისპირდა სისხლიანი ხელებით!

მოგმართავთ თითოეულ ამ ქვეყნის მოქალაქეს, 7 ნოემბერს, 16 საათზე, შევიკრიბოთ ოპერის მიმდებარე ტერიტორიაზე, რათა კიდევ ერთხელ გავაპროტესტოთ ის, რაც მაშინ დამართა მანიაკმა ხელისუფლებამ თავისივე მოქალაქეებს, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ და ვუთხრათ სისხლიან რეჟიმს არა!!!“.

სახალხო მოძრაობა „არა – ნაციზმს“!

ღმერთო, საქართველო ნაცების გარეშე გვაღირსე!

③ მე ვიცავ თავისუფლებას!

სახელდაკარგული, თავმოჭრილი პარტიის კანდიდატი ⑤

⑥ თეიმურაზ შაშიაშვილი: ⑦

მთავარია არა შეცდომების აღიარება, არამედ ხელშეკრულება ხალხთან და პრაქტიკული ქმედებები





ხვალიდან

„ვაქებ ჭკუასა ბრძენთასა...“

„სიცილი ჩემი მახვილია, ჩემი ფარი და ლახვარია“

ასე ამბობდა ბერნარდ შოუ

ქართულად გადმოაენა **გურამ გოგიაშვილმა**

100 წლის გაზეთი თქვენს თანადგომას ითხოვს

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“).

გიორგი ქობულია: საქართველო პატარა ქვეყანაა, რომლისთვისაც მომგებიანია სატრანზიტო მარშრუტები საქონლისა და ტვირთებისათვის

სინგაპურში, ახალი ეკონომიკური ფორუმის გახსნის ცერემონიის ფარგლებში, გიორგი ქობულიამ მონაწილეობა მიიღო ოფიციალურ მიღებაში, რომელიც სახელმწიფო დელეგაციების წარმომადგენლებთან მაიკლ ბლუმბერგმა და ფორუმის დამფუძნებელმა პარტნიორებმა გამართეს. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ახალი ეკონომიკური ფორუმის მუშაობაში მონაწილეობს, სადაც სიტყვით გამოვიდა მრგვალი მაგიდის ფორმატში გამართულ „სარტყელისა და გზის“ პროექტისადმი მიძღვნილ პანელზე.

გიორგი ქობულიამ ფორუმის მონაწილეებთან დეტალურად ისაუბრა იმ შესაძლებლობებზე, რომლითაც საქართველოს შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ახალი აბრეშუმის გზის პროექტში და იქცეს რეგიონულ ჰაბად ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ დერეფანში. მინისტრმა აღნიშნა, რომ საქართველო პატარა ქვეყანაა, რომლისთვისაც მომგებიანია სატრანზიტო მარშრუტები საქონლისა და ტვირთებისათვის. **„ჩვენ, ასევე, ვცდილობთ მაქსიმალურად განვავითაროთ რკინიგზისა და პორტების ინფრასტრუქტურა და ლოგისტიკა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის ფაქტია, რომ ინფრასტრუქტურის განვითარება ხელს უწყობს ქართულ კომპანიებს გავიდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ბაზარზე“,** — აღნიშნა გიორგი ქობულიამ სიტყვით გამოსვლისას.

ახალი ეკონომიკური ფორუმი 2018 წელს ამერიკელმა მილიარდელმა მაიკლ ბლუმბერგმა პარტნიორებთან ერთად დაარსა.

დეკემბერში ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს ველით

პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე და პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე თამარ ჩუგოშვილი საქართველოში ვიზიტად მყოფ ვენეციის კომისიის დელეგაციას შეხვდნენ.

შეხვედრაზე სასამართლო რეფორმის, საპროკურორო საბჭოსა და „პროკურატურის შესახებ“ კანონპროექტზე ისაუბრეს. ცვლილებების შესახებ რეკომენდაციას ვენეციის კომისია დეკემბერში შეიმუშავებს.

„ვენეციის კომისია, როგორც ჩვენი ძალიან კარგი პარტნიორი, მნიშვნელოვან მხარდაჭერას გვიწევს სხვადასხვა საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების დროს. ამჯერად ისინი დაინტერესებულები არიან საპროკურორო საბჭოსა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესახებ

კანონმდებლობით. საკმაოდ კარგი შეხვედრა ჰქონდათ პარლამენტის თავმჯდომარესთან, სადაც ვისაუბრეთ საპროკურორო საბჭოს დაკომპლექტების საკითხზე და ასევე, სასამართლო რეფორმის კუთხით ქვეყანაში არსებულ გეგმებზე. წლის ბოლოს ველოდებით მათ მოსაზრებას. დარწმუნებული ვარ, რომ სასარგებლო და საინტერესო რეკომენდაციები იქნება და ჩვენ, როგორც ყოველთვის, გულისყურით და ინტერესით მოვუსმენთ მათ რეკომენდაციებს და გავითვალისწინებთ“, — განაცხადა შეხვედრის დასრულების შემდეგ თამარ ჩუგოშვილმა.

დამსაქმებელი ვალდებულია, დასაქმებული დააზღვიოს!

„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით 2019 წლის 1 იანვრიდან დამსაქმებელი ვალდებულია, უზრუნველყოს დასაქმებული უბედური შემთხვევის დაზღვევით, — განაცხადა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ თამილა ბარკალაიამ.

სამუშაო შეხვედრის მიზანს უბედური შემთხვევის სავალდებულო დაზღვევის საკითხების დეტალური განხილვა წარმოადგენდა. საუბარი შეეხო დაზღვევის პაკეტის მინიმალურ ოდენობასა და შესაძლო ლიმიტებს. შეხვედრა დისკუსიის რეჟიმში წარიმართა.

ბიზნეს-გაერთიანებისა და სადაზღვევო კომპანიების წარმომადგენლებმა მზაობა გამოთქვეს, რომ ხელი შეუწყონ ამ მიმართულებით ორმხრივ თანამშრომლობას. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში გამართულ შეხვედრაში საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის, ბიზნეს-გაერთიანებისა, სადაზღვევო კომპანიების წარმომადგენლები და სამინისტროს წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

ნარკოთრობის ქვეშ მანქანის მართვა აპრილიდან პატიმრობით დაისჯება

მომავალი წლის 1 აპრილიდან ძალაში შევა ნორმა, რომლის მიხედვითაც, სატრანსპორტო საშუალების ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ მართვა სისხლის სამართლის წესით — ჯარიმით ან თავისუფლების ერთ წლამდე აღკვეთით დაისჯება.

ნორმის ამოქმედების ახალი თარიღი იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე განისაზღვრა, სადაც კანაფის მოხმარებასთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულაციები მესამე მოსმენით განიხილეს.

„კანონპროექტის განხილვის პროცესში დაისვა კითხვები, იყო თუ არა მზად სამართალდამცავი ორგანო შესაბამისი ტესტებითა და შემოწმების შესაბამისი პროცედურისთვის. ეს ნორმა 2019 წლის აპრილამდე არ ამოქმედდება. იქამდე მოხდება სრულად მომზადება, მოწესრიგდება, რათა მძღოლის შემოწმება კანონის სრული დაცვით მოხდეს და მოესწროს მოქალაქეთა ინფორმირებულობა“, — განაცხადა კომიტეტის თავმჯდომარემ ეკა ბესელიამ.

2018 წლის ბიუჯეტში 3,3 მილიარდი ლარი აუთვისებელია!

მიზეზებს „ქართული ოცნება“ განმარტავს

2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში აუთვისებელი თანხების მიზეზებს „კომერსანტთან“ „ქართული ოცნების“ დეპუტატი განმარტავს. სულხან მახათაძე ამით პარლამენტის ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე რომან გოცირიძეს ეხმაურება, რომელიც ხელისუფლებას მოუწოდებს, მიმდინარე წლის ბიუჯეტის კორექტირება მოახდინოს.

როგორც გოცირიძემ აღნიშნა, საქართველოში დღეს საბიუჯეტო პროცესი სრულად არის ჩამოშლილი. **„მთელი ამ ხნის განმავლობაში ათვისებულია მხოლოდ 9 მილიარდი ლარი და დარჩენილი 2 თვის განმავლობაში მთავრობამ უნდა დახარჯოს 3,3 მილიარდი ლარი, რაც წარმოუდგენელია. ეს არის სრული ჩავარდნა, რაც აქამდე ამ დოზით „ქართულ ოცნებას“ არ ჰქონია. ეს არის ზვავი, რომელიც შეიძლება ამ ორი თვის მანძილზე თავზე ჩამოეშალოს მთავრობას, ამიტომ ვაფრთხილებ ხელისუფლებას, დაუყოვნებლივ დაიწყოს მიმდინარე წლის ბიუჯეტის კორექტირება. ეს ხარჯები გადაიტანონ მომავალი წლის ბიუჯეტში, მოახდინონ ბიუროკრატიული და უსარგებლო ხარჯების კორექტირება. ეს ყველაფერი გამოიწვია საქართველოს მთავრობის და ეროვნული ბანკის შეცდომებმა, არასწორმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ, ასევე ეროვნული ბანკის მთავრობის მორჩილებაში გადაყვანამ, შედეგად მივიღეთ არასტაბილური ლარი“,** — განაცხადა გოცირიძემ.

> **რატომ ვერ ხერხდება სახელმწიფო ბიუჯეტის ათვისება და ახდენს თუ არა იგი ლარის კურსზე გავლენას? პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის არც ერთი წევრი, სულხან მახათაძის გარდა, „კომერსანტს“ აღნიშნულ კითხვებზე არ პასუხობს. მათი პასუხები კი ასეთია — საარჩევნო პროცესში ვართ ჩართულნი და ბიუჯეტისთვის „არ გვეცალა“, ზოგი სპორტული ცხოვრებით იყო დაკავებული, ზოგი ექიმთან იყო, ზოგმა კი ჩვენს სატელეფონო ზარებს და სმს შეტყობინებებს საერთოდ არ უპასუხა.**

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წევრი, დეპუტატი **სულხან მახათაძე** ის გამონაკლისი აღმოჩნდა, რომელმაც 2018 წლის ბიუჯეტთან დაკავშირებით საუბარი ისურვა. მისი განმარტებით, პარლამენტში მოსმენილი იყო ფინანსთა სამინისტროს ანგარიში, რომელიც 2018 წლის 2 კვარტალის შესრულებას ეხებოდა და გამოიკვეთა, რომ ათვისების მხრივ პრობლემები არ იყო. მიუხედავად ამისა, დეპუტატი ხსნის, რატომ შეიძლება ბიუჯეტის თანხები აუთვისებელი დარჩეს.

როგორც მახათაძე აცხადებს,ზოგადად, თანხები, რომლებიც მუნიციპალიტეტებს ერიცხებათ რეგიონული განვითარებისთვის და სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისთვის, ფაქტობრივად, ოქტომბრამდე პერიოდს მოიცავს. შესაბამისად, მუნიციპალიტეტებში გარკვეული სამუშაოები შესრულებულია, მაგრამ საკასო ხარჯი გაწეული არ არის. როგორც მახათაძე აცხადებს, წლის ბოლომდე ეს ყველაფერი გამოსწორდება, ანგარიშსწორება მოხდება და საბიუჯეტო თანხების ათვისების კუთხით დადებითი შედეგი დადგება.

მისივე განცხადებით, მეორე მიზეზი იმისა, თუ რატომ ვერ ხდება საბიუჯეტო თანხების ათვისება, ეს არის ინფრასტრუქტურული პროექტების განმახორციელებელი კომპანიების კომპეტენტურობა. დეპუტატის მტკიცებით, სამწუხაროდ, ინფრასტრუქტურული პროექტების ძალიან დიდი ნაწილი დაგვიანებით დაიწყო, იქიდან გამომდინარე, რომ რეგიონების დონეზე შეიქმნა მონიტორინგის ჯგუფები, რომელიც პროექტის ხარისხიანობას ამოწმებს. რადგან პროექტების განხორციელების დაწყების პერიოდი შეყოვნდა, ბუნებრივია, ათვისების პერიოდმაც გადაიწია.

მახათაძე განმარტავს, რომ ის შეურაცხყოფას არ აყენებს ქართულ კომპანიებს, თუმცა, თითზე ჩამოსათვლელია ისეთი კომპანიები, რომლებიც პროფესიონალურად, კომპეტენტურად მუშაობენ და შესრულების ვადებს და ხარისხს იცავენ.

„მარტო ბიუჯეტის თანხების გაცემა ხომ არ არის? პროცესი დამოკიდებულია შემსრულებლის მიერ განხორციელებულ სამუშაოებზე. ბევრია ისეთი შემთხვევა, როდესაც ტენდერებს ისეთი კომპანიები იგებენ, რომლებსაც არანაირი რესურსი არ გააჩნიათ, არ ჰყავთ ტექნიკა. სწორედ ამიტომ ხდება ხშირად ტენდერების ჩაშლა, მათი ხელახლა გამოცხადება, რაც პროცედურულად დროს მოითხოვს. ეს ყველაფერი კი ბიუჯეტსაც აზარალებს,“ — განმარტავს მახათაძე.

რაც შეეხება რომან გოცირიძის განცხადებას, მახათაძე „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში და „ქართული ოცნების“ პერიოდში არსებული ბიუჯეტების შედარებას ითხოვს. მისი სურვილია, შედარდეს, მაგალითად, ბიუროკრატიული ხარჯი რამდენი იყო მთლიან შიდა პროდუქტში „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში და რამდენია ახლა. როგორც მახათაძე აცხადებს, არსებული ბიუჯეტის მოცულობა (დაახლოებით 12 მილიარდი ლარი) არ არის ისეთი, რომ აბსოლუტურად ყველა სფეროს გაწვდეს და პრობლემები მოაწესრიგოს. თუმცა, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბიუჯეტი იზრდება, რაც კარგია.

კითხვაზე, ხომ არ მოქმედებს აუთვისებელი თანხები ლარის კურსზე, მახათაძე განმარტავს, რომ ლარის კურსის მერყეობა ძალიან კომპლექსურია და მას მხოლოდ ბიუჯეტს ვერ დავაბრალებთ. მისი შეფასებით, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა, რომელიც ინტეგრირებულია სხვა ქვეყნის ეკონომიკებთან, ბუნებრივია, იმ იმპულსებს ღებულობს. ამ შემთხვევაში საუბარია თურქეთის ვალუტაზე, თუმცა, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ქვეყანა იმპორტზეა დამოკიდებული. მისი შეფასებით, აუცილებელია, ქვეყანაში ექსპორტის მოცულობები გაიზარდოს.

როგორც მახათაძე აცხადებს, **„ეროვნული ბანკიდან აქვთ ინფორმაცია, რომ ეს გაუფასურება დროებითია და კურსი აუცილებლად დასტაბილურდება. „ლარის კურსთან დაკავშირებით ეროვნული ბანკია ზედამხედველი და დარეგულირებაც მისი კომპეტენციაა“,** — განმარტავს მახათაძე.

სოფო ქსოვრელი

ღმერთო, საქართველო ნაცების გარეშე გვაღირსე!

მილიონჯერ დამიწერია, რომ დროა, ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ.

ოღონდ დავარქვათ და ხმამაღლაც ნუ ვიტყვით. მთავარია ჩვენს თავს ვუთხრათ, რომ ეს ქვეყანა ჩვენია, ჩემია, შენია, ჩვენი შვილების და მათთვის ჯერჯერობით უცნობი მეგობრების. მოვიდა დრო, რომ მომავალი გაგვეხარდეს. სიმშვიდე გაგვეხარდეს, მოახლოებული ახალი წელი, შობა და „მძიმე“ იანვარი გაგვეხარდეს.

ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ უმთავრესი — ცოცხალი, ნათელი თვალები ვნახოთ ვაკეში, ვერაზე, რუსთაველზე, ვარკეთილში, ნახალოვკაში, ტყიბულში, მარანში და ყველგან, სადაც ჩავალთ.

არადა, ბევრი არაფერი გვაქვს გასაკეთებელი.

უნდა ავწიოთ ერთი ადგილი და ხმამაღლა ვთქვათ — მე ვიცავ თავისუფლებას!

ისმის გულდაწყვეტილი ხალხის წუხილი, ვის მივცე ხმა მეორე ტურში?

ოქრუაშვილი, ძმები ბერძენიშვილები, მაჭუტაძე და დანი და ძმანი მათნი, ორჯონიკიძე, გოცირიძეები, ბოკერია, გვარამია-გაბუნია-კვესიტაძე დ. ა. შ.

კიდევ გაინტერესებთ, ვის უნდა მისცეთ ხმა?

ერთი ანეკდოტი დაიდო ფეისბუქზე: ოქრუაშვილი ურეკავს ლევანა ბერძენიშვილს: ნამუსგარეცხილი ტირეთი იწერებაო? — შენც ჩემსავით ავტობიოგრაფიას ხო არ წერო? — კითხვა შეუბრუნა ენამოსწრებულმა ლევანამ.

რა დავწერო იმის მეტი, რაც არ დაწერილა და თქმულა?

ყველაფერი ცხადია. დღეს სასწორზე დგას არა ზურაბიშვილი და ვაშაძე, არა ოცნება და ნაცები, არამედ — ხვალინდელი დღე. დღე, რომელიც იქნება ან მშვიდი და აუცილებელი რეფორმებით გაჯერებული, ან ქაოსი და არეულობა.

არაფერს გეტყვით, რადგანაც თქვენც კარგად მიხვდებით, რომ რევანშით აღგზნებული მირისტები, მიუხედავად იმისა, რომ მათ „პრეზიდენტს“ არაფრის უფლება და შესაძლებლობა არ ექნება, როგორ დესტრუქციებს მოაწყობენ...

დესტრუქციებს არა ქუჩაში (ნეტა გაბედონ!), არამედ საერთაშორისო დონეზე. კარგად ვიცით, თუ როგორ გახოხდებიან კანდელაკები, კაპიტანი გიგაურები, სალაძეები, მარგველასთან თავშეფარებული უსაქმურები დასავლეთისკენ და როგორ შეეცდებიან სხვადასხვა ტყუილებით, არსებული ფაქტების დამახინჯებით, ბოღმით და სიძულვილით, ყველანაირად ხელი შეუშალონ ნორმალურად საქმის კეთებას.

ხელი შეუშალონ ქვეყანაში ნორმალური პოლიტიკური პროცესების განვითარებას. ქვეყნის იმ აღმშენებლობას, რომელსაც ამდენი წელია ველოდებით.

პირადად ჩემთვის მთავარი გარდატეხა უკვე მოხდა — ხელისუფლებამ დაინახა ის, თუ რა უნდა ეკეთებინა და დაინახა ისიც, თუ რა უნდა აკეთოს.

ხელისუფლებიდან ბევრს ვიცნობ და ვიცი, რომ მართლაც არსებობდა გარკვეული პრობლემები, მაგალითად, ხალხთან კომუნიკაციის პრობლემა, რაშიც ხელის ერთ-ერთი მთავარი შემშლელი, სწორედაც ის იყო, რომ ზედმეტად აქცევდნენ ყურადღებას ე.წ. „პოლიტკორექტულობას“, ზედმეტად იყო „დემოკრატობანას თამაში“, რისი მაგალითებიც, თუნდაც ნინია კაკაბაძის საზმაუს ბორდში, ან ლომჯარიას სახალხო დამცველად არჩევა იყო (რა მაგის პასუხია და, ეს ჩვენი „მთავარი დამცველი“, სად გასუნსულდა? რაღაც გვითხრას, გვაჩვენოს რომ ღელავს, გაიარ-გამოიაროს, ან ბოლო-ბოლო, სიგარეტი მაინც მოწიოს)...

ისიც კარგად ვიცი, რომ ის ჩემი ნაცნობები ხელისუფლებიდან სწორად აზროვნებენ და სწორი დასკვნები გააკეთეს. სრულად დარწმუნებული ვარ, რომ რეალურ საქმეს გააკეთებენ. ცხადია, ექნებათ შეცდომები, მაგრამ უკვე ვიცი უმთავრესი — ჩემი ხმა აღარ დაიკარგება. დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს სტატიებს წაიკითხავენ და თუ ზედმეტ ემოციებში გადავვარდი, ან პრობლემა სწორად ვერ დავინახე, იმაზეც რეალურ პასუხს გამცემენ. გამომეხმაურებიან და აღარ ვიდგები უდაბნოში მღაღადებლის მსგავსად.

სოციალურ ქსელში საკმაოდ საინტერესო დიალოგი მქონდა ჩემი ბავშვობის მეგობართან, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

— გია, ბიძინა რომ მიშას ემსგავსება ვერ ხედავ? შეიძლება, ცოცხებით არ დაგვერიოს, მაგრამ მისი ხელისუფლება უკვე წარმავალია და რაც უფრო მოებღაუჭება ძალაუფლებას, მით მეტი შანსია, რომ მათთან რადიკალურად დაპირისპირებული ძალა მოიყვანოს.

— რადიკალურად დაპირისპირებული ხელისუფლების მოსვლის შანსი არის (თან, გარკვეულწილად, რეალური). ამის საფუძველი თავად შექმნეს ე.წ. კოჰაბიტაციით, მაგრამ ეს ჩემი აზრით

მე ვიცავ თავისუფლებას!

რეალური იქნებოდა წინა საუკუნის 20-ანი წლებიდან საუკუნის ბოლომდე. დღეს სხვა სიტუაციაა, დაწყებული ინფორმაციის გავრცელების დონიდან, დამთავრებული სხვა საერთაშორისო რეალობით. მე, ცხადია, მომხრე ვარ ხელისუფლების ნორმალური ცვლილების (არა ამერიკული მოდელის, უფრო ევროპულის. იქ სხვა, ტოტალიტარული „პონტია“, ევროპა ბევრად უფრო ნორმალურია). არჩევნებამდე შევხვდი უსუფაშვილს კომენტარისთვის (მერე მოგიყვები). აქამდე შუას გაკრეფის მომხრე ვიყავი (ამ ე.წ. პოლიტიკური ველის საზიზღარი არსებობიდან გამომდინარე). ეს ველი გაიკრიფა. დღეს სწორედ ის ნორმალური „შუაა“ აუცილებელი და ასეთი პოლარიზაცია სწორედ იმას შეუწყობს ხელს, რომ რადიკალიზმი აღარ იყოს (მაგასაც გეტყვი). ასეთ დროს და დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით, დროებითი რადიკალიზმი აუცილებელია. აი, ის 2 წელიწადი, ამ შუას წამოწევას შეუწყობს ხელს (ხალხმა ეს ფაქტობრივად უკვე დაინახა). დანარჩენი იმათზეა დამოკიდებული, ვინც რეალური პოლიტიკური ცხოვრების დამკვიდრებას აპირებს

ჰო, ნაცებზე არაფერს ვიტყვი. სტატიის სტანდარტებიდან გამომდინარე, რაღაც უნდა ვთქვა, მაგრამ მკვდარზე ან კარგს ამბობენ, ან არაფერს. ამიტომ ჩუმად ვიქნები.

მოკლედ რომ ვთქვა, მე პირადად მჯერა ხვალინდელი დღის და მე ვიცავ თავისუფლებას.

ვისაც უნდა, სანაძლეოს დავეუდებ, რომ 2 დეკემბერს ბევრი ისეთი ტიპი ე.წ. „ადმინისტრაციული რესურსიდან“ მისცემს სალომეს ხმას, ვინც 28-ში ვაშაძე შემოხაზა.

გაგიკვირდებათ და ხმას მისცემს შიშის გამო. შიში ოხერია. თან პორტირებულ ტიპებს განსაკუთრებული სახეობის შიში აქვთ.

„პორტირებულებს“ მარტო იმათ კი არ ვეძახი, ვინც ნაცებთან იყვნენ და მერე როგორც „მაააგარი სპეციალისტები“ ოცნებაში „გაიჩითნენ“, პორტირებულებზე უარესები ის „ძალად დასავლეთელი“ ტიპები არიან, ვინც 2012-ის მერე აღმოცენდნენ და თბილი ბუდე გაიკეთეს. **ისინი მიჩა-ბოკერიას მენტალობას იბრალებენ.** იბრალებენ იმის გამო, რომ ჰგონიათ ლატენტური ნაცობა, დამახინჯებულად დასავლური აზროვნება „პრადვინუტობაა“. ეშინიათ ხმამაღლა თქვან — ერი, სამშობლო, მომავალი (ვიწრო წრეში სუფრაზე იტყვიან, მაგრამ ხმამაღლა არა. ვაი თუ იქ, ზემოთ მჯდომმა პორტირებულმა გაიგონოს, დაიმახსოვროს და მაშინ ნებისმიერ შემთხვევაში „დამერხევა“).

მათ ეშინიათ. ეშინიათ არა დაპატიმრების, ან სამსახურიდან გაგდების (ეგ არანაირად არ იქნება, თვითონ მიშაც რომ მოვიდეს), იმათ ახლა ყველაზე მეტად გაურკვევლობის ეშინიათ. მათი შინაგანი ხმა ახლა ყვირის და კივის — ვაი თუ გაგვიგონ.

ასე რომ, ეგ 20% იმ 37-იდან, აქეთ გადმოვა.

კიდევ ერთელ ვამბობ: თუ გინდათ, სანაძლეო დავდოთ!

ნაცებმა ტკიპასავით „აიკრეს“ ყველა, ვის მიმართაც საქართველოში მუდამ ანტიპათიით იყვნენ განწყობილი. „ოცნებას“ კი ხმამაღალი მხარდაჭერა საქართველოს „პატრიოტთა ალიანსმა“ გამოუცხადა.

პოლიტიკურმა ძალამ, რომელმაც ამ წლების განმავლობაში ნათლად გვაჩვენა, რომ კონსტრუქციული ოპოზიციაა და რეალობას ადეკვატურად აფასებს.

ამის ნათელი მაგალითია პარლამენტის ვიცე-სპიკერის, „პატრიოტთა ალიანსის“ ერთ-ერთი ლიდერის ირმა ინაშვილის განცხადება:

ბიძინა ივანიშვილის მიმართვა აშკარად არასტანდარტული და საგულისხმო იყო. ცალკეულ თეზისებს არ მივყვები. გამგები მარტივად გაიგებდა, რაც ითქვა.

როგორც თქვენთვის, ჩემთვისაც მთავარი სამართლიანობის აღდგენის საკითხი იყო. იგრძნობა, რომ კოჰაბიტაცია ველარ გაგრძელდება. შესაძლოა, ეს მხოლოდ შთაბეჭდილება იყოს, მაგრამ კონტურები აშკარად ჩანს. იგრძნობა პასუხისმგებლობა კრიზისზე, რაც დღეს ქვეყანაში შეიქმნა — „ეს განსაცდელი ჩვენ დავუშვით“.

დიახ, მწარე სიმართლეა ეს.

მკაფიო, კონკრეტული და ადეკვატური იყო ნაცმოძრაობის შეფასება რევანშისთვის გამზადებულ ჯგუფად, რომელიც რეალურად დიდი ხანია აღარაა პოლიტიკური პარტია.

ითქვა, რომ ხელისუფლებაზე გაბრაზება არ უნდა გადაიზარდოს საკუთარ ქვეყანაზე გაბრაზებაში, რასაც ერთმნიშვნელოვნად ვეთანხმები.

ზუსტად ვიცი, არჩევნების შემდეგ, საარჩევნო სისტემის შეცვლის თემაზე სწორედ მმართველ გუნდთან სერიოზული ოპონირება გვექნება. ახლავე ვეუბნები მათ — ეს სისტემა უნდა შეიცვალოს და უკანდახევა არ იქნება! ამასთან, პლენარულ სხდომაზე გასატანია რეზოლუცია და ესეც არ ჩაივლის ნერვების გლეჯის გარეშე... ვარდი უეკლოდ ვის მოუკრეფია?!

ჩემს თანაგუნდელებთან ერთად, მივყვები გზას, რომელიც მიმაჩნია, რომ მართალი გზაა — ჩვენ არ უნდა დავბრუნდეთ 2004-2012 წლების რეალობაში. უნდა მოვიკრიბოთ ძალები. უნდა ვაჩვენოთ მსოფლიოს, რომ ძალიან, ძალიან ბევრნი ვართ, ვისაც არ გვენატრება სააკაშვილ-ბოკერიას მმართველობის არც სტილი და არც შედეგები! და გვინდა თავისუფალი, ბედნიერი ქვეყანა ავაშენოთ, სადაც მარტო მინისტრები და ჩვენ — დეპუტატები კი არ გავიხარებთ, პირველ რიგში, მშიერი ბავშვები, ავადმყოფი მოხუცები, დასახიჩრებული ვეტერანები, ობლები, უმწეოები გაიხარებენ.

წერილი კი მინდა დავამთავრო ჩემი ერთი ემოციური პოსტით, რომელიც სოციალურ ქსელში გავავრცელე:

მე გია გაბრიჭიძე ვარ. ჟურნალისტი, ვწერ სტატიებს, ხანდახან მოთხრობებს. მყავს შვილები. ვცხოვრობ ჩვეულებრივი, საშუალო ქართველის ცხოვრებით. ზუსტად ისე, როგორც ჩემი მეგობრები, ნათესავები, მეზობლები, ახლობლები.

არ დავიწყებ იმაზე ლაპარაკს, თუ რა გავიარე იმ წლებში, როცა ქვეყანაში განუკითხაობა იდგა და ზეიმობდა. არ დავიწყებ, რადგანაც ეს ყველამ ერთად გავიარეთ.

არ დავიწყებ ლიტერატურულ პასაჟებს იმაზე, რომ „შავი ღრუბელი დგება ჩვენს თავზე“. ვიტყვი მარტივად — ვხედავ, რომ აღარ მაქვს მოთხრობების წერის დრო. ვხედავ იმიტომ, რომ საიდანღაც ამოტივტივდა ბავშვობაში, ისტორიის გაკვეთილზე ჩემი პედაგოგის ნათქვამი ფრაზა — როცა ქვეყანას უჭირდა, გლეხი თოხს გვერდზე დებდა და ქამრიდან ხმალს იღებდა.

ეს ხმალი ჩემთვის პირველ რიგში ერთად დგომაა. პირველ რიგში ჩემი შვილების და ძვირფასი ხალხის მომავალზე ფიქრია. ეს ხმალი ბევრად უფრო მეტია, ვიდრე პირდაპირი მნიშვნელობით მოქნეული სატევარი.

აღარ მაქვს დრო, წერო ლექსები, მოთხრობები. დღეს ერთად დგომის, ჩემს მეგობრებთან, ნათესავებთან, ახლობლებთან დგომის დრო მოვიდა. მათთან უნდა დავდგე ზუსტად ისე, როგორც დადგება ჩემთვის უცნობი მეპურე, ჩემთვის უცნობი მეცნიერი, ჩემთვის უცნობი მძღოლი.

დღეს მორალური ბრძოლის დრო მოვიდა და მე დარწმუნებული ვარ, რომ აუცილებლად გავიმარჯვებ. გავიმარჯვებ, რადგანაც ჩემს უკან ჩემი შვილების მომავალი, თქვენი შვილების მომავალი დგას.

როგორც გიორგი ბრწყინვალეს დროს ამბობდნენ — ღმერთო, საქართველო მონღოლების გარეშე გვაჩვენე; როგორც დავითის დროს ამბობდნენ — ღმერთო, საქართველო სარკინოზების გარეშე გვაჩვენე, როგორც ერეკლეს დროს ამბობდნენ — ღმერთო, საქართველო ყიზილბაშების გარეშე გვაჩვენე; როგორც ილიას დროს ამბობდნენ — ღმერთო, საქართველო რუსების გარეშე გვაჩვენე, როგორც მერაბ კოსტავას დროს ამბობდნენ — ღმერთო, საქართველო კომუნისტების გარეშე გვაჩვენე; დღესაც ვამბობთ — ღმერთო, საქართველო ნაცების გარეშე გვაჩვენე!

ყველა ასრულდა!

ეს ბოლოც ასრულდება!

მე ვიცავ თავისუფლებას!

გია გაბრიჭიძე

ᲐᲡᲔᲗᲘ ᲫᲘᲛᲔ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲯᲔᲠ ᲐᲠᲪ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ...

ᲞᲝᲚᲘᲢᲝᲚᲝᲒᲘ რამაზ საყვარელიძე აცხადებს, რომ ქვეყანაში სიტუაცია მარტივი არ არის. ივანიშვილი პოლიტიკური ჭადრაკის მოყვარულია, კარგად იცის პოლიტიკური მხარე, მაგრამ, უბრალოდ, აღარ ჰყოფნის იმ სფეროებში თავისი გავლენა, რომელიც სხვამ უნდა გააკეთოს.



რამაზ საყვარელიძე დღეს ჩვენი გაზეთის სტუმარია.

— სოციალურ კვლევაში, რომელმაც ხელისუფლება მეორედ აიძულა უკან წაეღო განცხადება არჩევნებში გამარჯვებასთან დაკავშირებით, აღმოჩნდა, რომ გათვალისწინებული არ იყო გაბრაზებული და გადაუწყვეტელი ამომრჩეველი. როგორ ფიქრობთ, რატომ არ იქნა კვლევაში ეს ნაწილი გათვალისწინებული?

რამაზ საყვარელიძე: როგორც ვიცი, გათვალისწინებული იყო, მაგრამ დადებული იყო, რომ ცდომილება იქნებოდა დიდი, რადგან ბევრმა პასუხის გაცემაზე თქვა უარი. ამიტომ ცდომილება იყო არა 2-3%, არამედ უფრო დიდი, რომელიც გულისხმობდა იმას, რომ შეიძლება მიღებული ყოფილიყო 52%.

გამოცხადების დროს ასეთი ცდომილების საზღვრები უფრო ფართოა და ამიტომ შედეგები შეიძლება იყოს 45-დან 55% და ა.შ. თითქმის ასეთი იყო დიაპაზონი. განცხადების დროს უბრალოდ ითქვა ის მაქსიმუმი, რაც შეიძლებოდა ამ შედეგებიდან თქმულიყო. აქ სოციოლოგიის შეცდომას იმდენად არ ვხედავ, რამდენადაც იმათ არაპროფესიონალიზმს ვხედავ სოციოლოგიაში, ვინც ასეთი განცხადება გააკეთა.

— პარლამენტის თავმჯდომარეს გულისხმობთ? სწორედ ირაკლი კობახიძემ გააკეთა პირველი განცხადება და გამარჯვება მიულოცა სალომე ზურაბიშვილს...

— ნუ, არ არიან სოციოლოგები... სოციოლოგიურ მასალაში ხშირად ხდება, როდესაც არასპეციალისტი ხედავს იმას, რაც მისთვის არის მისაღები. არის ხოლმე 2-3 პროცენტი და სადმე გინახავთ, რომ ვინმეს გაეთვალისწინებინა ეს 2-3%? — არა. ძირითადად შუალედურ ციფრებზე არის ლაპარაკი, რატომ? — იმიტომ, რომ არ არიან სპეციალისტები.

— ეს კიდევ შეცდომაა მმართველი გუნდისთვის. არაპროფესიონალიზმი არა მარტო სოციოლოგიაში, არამედ ბევრ სფეროში ჩანს...

— პროფესიონალიზმის პრობლემა არის ხელისუფლებაში, მაგრამ ეს მარტო ამ ხელისუფლების პრობლემა არ არის. წინა ხელისუფლებაში კიდევ უფრო პრობლემური იყო. მაგალითად, თბილისში რამდენიმე ადგილას რამდენჯერმე დააგეს ქვაფენილი, სწორედ არაპროფესიონალიზმის გამო და ა.შ. ძალიან ხშირად წინა ხელისუფლება არაპროფესიონალიზმს ძალადობით ფარავდა და ჩვენ ეს გვავიწყდება. კომუნისტებიდან მოყოლებული არაპროფესიონალიზმის დეფიციტი სულ იყო.

მთავარი არაპროფესიონალიზმის აღნიშვნა არ არის, თუმცა აუცილებელია მითითება. მაგრამ მთავარი შემდეგ ის არის, რა ხდება დაშვებული შეცდომების მერე. თუ დაშვებული შეცდომის შემდეგ ძალადობას ვიღებთ, ეს უმძიმესია. თუ დაშვებული შეცდომა გამოსწორებისკენ უბიძგებს ხელისუფლებას, ეს მისასალმებელია.

ხელისუფლებაში მოსვლიდან 6 წლის თავზე საუბრობს ხელისუფლება დაშვებულ შეცდომებზე და მის გამოსწორებაზე. ხელისუფლება დღეს ამბობს, რომ გაიწვევს კანაფის კულტივაციის კანონპროექტს, რაც არჩევნებამდეც შესაძლებელი იყო, რადგან ამ კანონპროექტმა გაზარდა პროტესტის მუხტი საზოგადოებაში, რაც წამგებიანი აღმოჩნდა ხელისუფლებისთვის. საუბარია იგივე სოციალურ ფონზე და, რომ დეპუტატები ახლოს უნდა იყვნენ ხალხთან. საუბარია დეპუტატებზე, რომლებიც სატელეფონო ზარებსაც არ პასუხობენ. ფაქტია, რომ პრობლემა არის, რამაც გამოიწვია ამომრჩევლის გაბრაზება. როგორ ფიქრობთ, უმჯობესი არ იყო ხელისუფლებას ადრე ეფიქრა შეცდომების გამოსწორებაზე, რომ არ ჰყოლოდა ამდენი გაბრაზებული და იმედგაცრუებული ამომრჩეველი?

— რა თქმა უნდა, და აქედან გამომდინარე, ბიძინა ივანიშვილის გაბრაზება უმრავლესობის წევრებზეც სავსებით ბუნებრივია. თითქმის ყველა ელოდა მეორე ტურს, თვითონ ივანიშვილიც არ გამორიცხავდა, მაგრამ მოულოდნელი იყო 1%-იანი სხვაობა. ამ სხვაობამ გამოიწვია ვნებათაღელვა როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს.

— თქვენ წინა კითხვაში წამოსწიეთ არაპროფესიონალიზმის და მარიხუანას საკითხი. ჩვენ სოცილოგიაზე ვლაპარაკობდით და ეს ჩვენი სოციოლოგები რითი ცხოვრობენ, პურს რითი ჭამენ? ქართველი სოციოლოგები პოლიტიკურ კვლევებს არ ატარებენ, ატარებენ კომერციულ კვლევებს. მაგალითად, სანამ კრემს შემოიტანენ გასაყიდად, იქამდე სოციოლოგია ტარდება, გაიყიდება თუ არა. თუკი კრემის გაყიდვას სჭირდება სოციოლოგიური კვლევა, პოლიტიკური გადაწყვეტილება რომ შეგაქვს საზოგადოებაში, წინასწარ არ უნდა ყოფილიყო გამოკვლეული? არ უნდა სცოდნოდათ საზოგადოებას რა რეაქცია ექნებოდა მარიხუანას დაშვებაზე? თუ პოლიტიკური სიახლე შეგაქვს, ჯერ უნდა მოსინჯო ხალხის რეაქცია, მაგრამ ამის გამოცდილება ამათ არ აქვთ. თავიდანვე შეეძლოთ შეენახათ ეს პროექტი და გაერკვიათ, ვინ რატომ არის წინააღმდეგი, მერე მოენახათ არის თუ არა ამ წინააღმდეგობის გადალახვის მექანიზმი.

— იქნებ იმიტომ, რომ ხელისუფლებამ ჩათვალა „ნაციონალური მოძრაობის“ მიუღებლობის ფონზე, ნებისმიერ, თუნდაც მიუღებელ ნაბიჯს საზოგადოება მიიღებდა, ეს დამოკიდებულება ჩანს ხელისუფლების ქმედებაში. შეიძლება ითქვას, რომ ამ პოლიტიკით არის გათამამებული „ქართული ოცნების“ ხელისუფლება?

— არ გამოვრიცხავ ასე ფიქრობდნენ, მაგრამ ესეც არაპროფესიონალური ფიქრია. თუ ძალიან გაამწარებ ადამიანს, მერე უკვე სხვა მექანიზმები იწყებს ამოტივტივებას და ამოტივტივდა ეს მექანიზმი. ამ მექანიზმის გამყარებას ხელს უწყობენ ნაციონალებიც. კერძოდ, ახლა მიდის მუსირება იმაზე, რომ პრეზიდენტი ავირჩიოთ ნაციონალებიდან და რახან ასე ეშინიათ ნაციონალების, ამით ვაიძულებთ „ქართულ ოცნებას“ გაგვიწიოს ანგარიში.

— სტრატეგიულად სწორი იყო ამ შიშის გამოვლენა?

— არა, რა თქმა უნდა. იმიტომ, რომ ვაშაძეს არჩევა შეიძლება „ქართული ოცნებისთვის“ ზეწოლის ინსტრუმენტი გახდეს, რადგან ორი წლის მერე მოდის რეალური ხელისუფლების არჩევა და ვნახოთ როგორ მოიქცევიან. ასეთი პოლიტიკურად სწორად არჩეული პოზიცია უკვე გაამზადა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და უკვე მუსირებს ეს ფორმულმა ბევრ წრეში, რომლის საპირწონე ფორმულა ჯერჯერობით არ გვინახავს, ისევე როგორც ის ფორმულა, რომ ახლა ჩვენ ხელს გავუწვდით მოსახლეობას. ეს სახიფათო ფორმულაა ხელისუფლების მხრიდან.

— რატომ?

— სახიფათოა იმიტომ, რომ ამომრჩეველი იფიქრებს — ახლა გამიწევ ანგარიშს, მაგრამ ხმას რომ მოგცემ, მერე ხომ არ გამიწევ ანგარიშს?! ამდენად, სხვა ტიპის ნაბიჯებით უნდა შექმნა ეს შთაბეჭდილება და ეს შთაბეჭდილება არის შესაქმნელი. მარიხუანას პროექტის გაწვევა სწორი ნაბიჯია, ანუ კონკრეტულმა პრაქტიკულმა ნაბიჯებმა თუ არ შექმნა ის განცდა, რომ ხელისუფლება სხვა გზას დაადგა, მხოლოდ ლაპარაკით ამას ვერ შეცვლი.

მეორე მხრივ, არის კიდევ პრობლემა პოზიციაში — ნაციონალების საფრთხე იმუშავებს „ოცნების“ სასარგებლოდ. როგორც ჩანს, შეცდომაა იმ მხრივ, რომ რეალური შეცდომის სახე დაავიწყდა საზოგადოების წარმომადგენლებს. ყველას არა, მაგრამ საზოგადოების დიდ ნაწილს დაავიწყდა, რა ხდებოდა ნაციონალების დროს. დაავიწყდათ ისიც, რომ ნაციონალები ის ხალხი არ არიან, რომლებსაც ერთთანამდებობას მისცემ და მერე მთელი ხელისუფლების აღების სურვილი არ ექნებათ. მოსახლეობის ყველა ფენას ერთნაირი მეხსიერება არ აქვს. სამწუხაროდ, არის ეს პრობლემა.

— ბიძინა ივანიშვილის გაბრაზება ვახსენეთ, რამდენად სამართლიანია ივანიშვილის გაბრაზება გუნდის მიმართ და დაგვიანებულად არ გეჩვენებათ? ამბობდა, რომ პოლიტიკაში დაბრუნდა იმიტომ, რომ ხალხსა და პარტიას შორის მოხდა გაუცხოება, თუმცა, ამის მიუხედავად, კონკრეტული ნაბიჯები არ გადაუდგამს. როგორ ფიქრობთ, ამ გაბრაზების ფონზე აუცილებელი არ არის გუნდის შეცვლა? წინ გვაქვს საპარლამენტო არჩევნები და, ალბათ, ამ გუნდით გაუჭირდება საპარლამენტო არჩევნების მოგება...

— გეთანხმებით. როდესაც მობრუნდა პოლიტიკაში, მაშინვე უნდა დაეწყო გუნდის შეცვლა. მაშინ ივანიშვილის მობრუნება აღიქმებოდა როგორც ფაქტორი, რომ კარგი მიმართულებით მიჰყავს პროცესი. თავის დროზე მიშა სააკაშვილმა რომ აღმოაჩინა, ადამიანებს ნერვებს უშლიდა პარტიის რომელიღაცა წევრები და მათ შორის ბოკერია, მათ აუკრძალა ტელევიზორში გამოჩენა, ანუ მან გაითვალისწინა მოსახლეობის დამოკიდებულება. არ ვიცი რამდენად საჭიროა სააკაშვილისგან სწავლა, მაგრამ ამ შემთხვევაში საჭიროა.

ჩაეტარებინა გამოკვლევა და გაერკვია პარტიის წევრებიდან მოსახლეობის თვალში ვინ არის მისაღები და ვინ არა. შეეცვალა თავისი შემადგენლობიდან ის ნაწილი, რომელიც მინიმუმ მიუღებელია მოსახლეობისთვის. ეს იმდენად მარტივია, რომ ერთ კვირაში გასაკეთებელი საქმეა. ასეთი ნაბიჯები რომ გადადგმულიყო, რწმენა იმისა, რომ პროცესს ივანიშვილი უძღვება, მისაღები იქნებოდა ამომრჩევლისთვის. დღეისთვის ასეთი განცდა აღარ არის მოსახლეობაში. ორჯერ თქვა ინტერვიუში, რომ მხარს ვუჭერ ზურაბიშვილსო და ამ განცხადებამ აიყვანა ზურაბიშვილის მონაცემი გარკვეულ დონეზე, ოღონდ ისეთი გადამწყვეტი არ აღმოჩნდა, როგორც მარგველაშვილის შემთხვევაში. ეს უკვე დამაფიქრებელია.

— თქვენ რა მიმართულებით და როგორ ურჩევდით ჭადრაკის დაფაზე მოქმედებას?

— მარტივი ვითარება ნამდვილად არ არის. მგონია, რომ ასეთ ვითარებაში ივანიშვილი არც ყოფილა. მეორე მხრივ, ივანიშვილი პოლიტიკური ჭადრაკის მოყვარულია და ძალიან კარგად იცის პოლიტიკური მხარე, უბრალოდ, შეიძლება აღარ ჰყოფნის იმ სფეროებში თავისი გავლენა, რომელიც სხვამ უნდა გააკეთოს. ყველაფერს ერთი კაცი ხომ არ გააკეთებს. ამ მხრივ არის რთული მდგომარეობა.

ივანიშვილი ძალიან კარგი მოჭადრაკეა და დარწმუნებული ვარ, რომ იპოვის სწორ გამოსავალს. მიმაჩნია, რომ სალომე ზურაბიშვილის არჩევა ამ შეჯიბრში სწორი არჩევანი იყო. იმიტომ, რომ ამ არჩევანით საშუალება არ მისცა თავისი დაჯგუფების წევრებიდან რომელიმეს უპირატესობა ჰქონოდა. ასევე, სალომე ზურაბიშვილი არის ფიგურა, რომელიც ნამდვილად არ დაუშვებს კოჰაბიტაციას ნაციონალებთან. რაც შეეხება გამოსავალს, ივანიშვილი ამდენი ხანი ასე უბრალოდ არ იცდის, იპოვის გამოსავალს, მაგრამ ვისურვებდი, რომ უფრო მაღალი ტემპით გადაედგა ნაბიჯები.

დრო ძალიან ცოტაა და „ნაციონალური მოძრაობა“ ძალიან მაღალი ტემპით მოქმედებს. არჩევნების შემდეგ ნაციონალებმა შეცვალეს პოლიტიკა, ე.წ. ვორდინგი. უკვე გაუწიეს ანგარიში იმას, რა მოსწონს ხალხს და რა არა, ანუ უფრო ელასტიკური გახდნენ. აქ კი ასეთ ცვლილებებს ჯერჯერობით ვერ ვხედავთ. ვხედავთ მსჯელობას იმაზე, რომ აპირებენ შეცვლას. მოსაფიქრებელია რომელ სფეროში შეიძლება ისეთი ინიციატივების წამოყენება, რაც მოკლე ვადებში განხორციელდება და მოგვცემს ეფექტს.

ესაუბრა
თამთა ძარჩავა

ᲞᲐᲐᲢᲐ ᲑᲣᲠᲭᲣᲚᲐᲫᲔᲛ ᲙᲝᲑᲐ ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲨᲘ ᲣᲩᲘᲕᲚᲐ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲑᲐᲜᲛᲐ ᲞᲐᲐᲢᲐ ᲑᲣᲠᲭᲣᲚᲐᲫᲔᲛ ᲙᲝᲑᲐ ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲪᲘᲚᲘᲡᲬᲐᲛᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲩᲘᲕᲚᲐ. ᲡᲐᲥᲛᲔ ᲔᲮᲔᲑᲐ, 17 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗ ᲢᲔᲚᲔᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲡᲣᲚ ᲛᲐᲡᲐᲚᲐᲡ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲑᲣᲠᲭᲣᲚᲐᲫᲔ ᲤᲝᲜᲓ „ᲘᲐᲕᲜᲐᲜᲐᲡ“ ᲡᲐᲥᲕᲔᲚᲛᲝᲥᲛᲔᲓᲝ ᲗᲐᲜᲮᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲘᲡᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲐᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲐ. წინამოსამზადებელ სხდომაზე მსოფლიო ბანის ადვოკატმა ცილისმწამებლური ცნობების უარყოფა და მორალური ზიანის ანაზღაურება 25 000 ლარის სახით მოითხოვა. ბურჭულაძის შუამდგომლობა სასამართლომ არ დააკმაყოფილა:

„რატომ ჩათვალა ბატონმა პაატა ბურჭულაძემ, რომ კობა დავითაშვილია დაბალი ღობე და მას უნდა უჩივლოს, როდესაც ვახტანგ კომახიძე იმ ფილმების ავტორი, რომელსაც მეც ვეყრდნობი ჩემს განცხადებებში, რომელიც ადასტურებს, რომ ბატონმა პაატამ ბავშვების ფული მიითვისა, იხვეწება, რომ ბატონო პაატა, დავჯდეთ, ჩვენ გვქონდეს დებატები, მე მიჩივლეთ, ამის მიუხედავად, ბატონმა პაატამ ჩათვალა, რომ ამ საქმეზე მოპასუხე უნდა იყოს კობა დავითაშვილი. რა გაეწყობა, ბანმა თხარა თხარაო, კობა გამოთხარაო, ასეა მისი საქმე,“ — განაცხადა კობა დავითაშვილმა.

მამა-პაპის სისხლი და ხმა მალაპარაკებს!

სახელდაკარგული, თავმოჭრილი პარტიის კანდიდატი

ᲩᲕᲔᲜᲡ ცხოვრებაში ბევრი უცნაური რამ ხდება, ყველა ვხვდებით, რომ თანდათანობით ხელში გვადნება ის იმედები, რომელიც 2012 წელს ხალხის დაუცხრომელი რუდუნებით არჩეული ხელისუფლების ნაღვაწს უნდა მოეტანა. მაშინ, ხალხსა და იმ ადამიანებს, რომლებიც, შემდგომ, ხელისუფლებაში მოვიდნენ, ერთნაირი მიზნები გვამოძრავებდა: გაზულუქებულ და აშკარა დანაშაულებრივი ქმედებებით სახელგატეხილი მთავრობის თავიდან მოშორება, სამართლიანობის აღდგენა და მშვიდობიანი გზით დემოკრატიული სახელმწიფოს აშენება. იმ დღიდან აგერ უკვე ექვსმა წელმა განვლო და, სამწუხაროდ, მნიშვნელოვანწილად არც არაფერი შეცვლილა. მნიშვნელოვანწილად, თორემ, კი, მუშაობდა მთავრობა, რაღაცა კეთდებოდა, რაღაცა — არა. მართალი რომ ვთქვათ, მდორედ და უფერულად მიედინებოდა და ახლაც ასეთივე ტემპით მიედინება ჩვენი ცხოვრება.

დიახ, მდორედ, მაგრამ, სამაგიეროდ, ქუჩებზე ვერ ვიტყვით ამას. ქუჩები, გამზირები, შუკები თუ შესახვევები, — გადაივსო ევროპისა და იაპონიის მოსახლეობის გამონაცვალი ავტომობილებით, კარგა ხანია უკვე ჰაერის ნაცვლად შავ გამონაბოლქვს ვსუნთქავთ. ამას ემატება დაუსრულებელი მშენებლობების მტვერით ჰაერის გაჯერება. წინ არ წაწეულა ხალხის ყოფა-ცხოვრება, ქვეყანაში კვლავ მეფობს შიმშილი, უმუშევრობა, პენსიების უბადრუკი სახეობა, სოციალური უთანასწორობა (რომელ დემოკრატიაზეა ლაპარაკი!), მაღალ ეშელონებში მყოფთა გალაღება, ყოველივე ამან ზომაზე მეტად გააქტიურა პარტია ოცნების მიერ თავინთ საპირწონედ აღიარებული ოპოზიცია, საქმით კი არა — ენით!

დაუსაბუთებელ თუ დასაბუთებულ ბრალდებებთან ერთად, საშინელ სიძულვილს და ღვარძლს აფრქვევენ ისინი! თითქმის ყველა ტელეარხზე ფუთფუთებენ და მთავრობის ლანძღვით წამლავენ ხალხს. განსაკუთრებით მუდამ პირზე აკერიათ და წამდაუწუმ ატრიალებენ არაფორმალური მმართველობის საკითხს! თუმცა, ამის საბაბს, როგორც ვთქვით, მთავრობაც იძლევა, რომელმაც განსაკუთრებით არ გაგვიმართლა სამართლის აღდგენაში. მთავრობის მოქმედებას არ ახლავს ენერგიულობა, აქტიურობა, მოსახლეობაზე ზრუნვა, ასეთმა პოლიტიკამ მთავრობა დააშორა ხალხს. და აი, დადგა კიდევაც შედეგი საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურის შემდეგ.

რა არის გასაკვირი? ზემოთ ჩამოთვლილი რეალიები სავსებით ცვლის იმ რწმენას და მომავლის იმედებს 2012 წ. რომ გვქონდა. „ქართული ოცნების“ ავტორიტეტი თანდათან დაჩრდილა მუქმა ღრუბლებმა. მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, მაინც ვერ გამიგია საპრეზიდენტო არჩევნებში „ოცნების“ ხელდასხმულ კანდიდატს, ისეთი უმწიკვლო ბიოგრაფიის მქონე ქალბატონს, როგორიც სალომე ზურაბიშვილია, რატომ უნდა მიეღო „მწვალებელ“ ოპოზიციასთან თითქმის გათანაბრებული ხმები... დიახ, ეს მოხდა 28 ოქტომბერს, ქართველმა ხალხმა ძუნწად მისცა ხმა მას. ნუთუ „ქართული ოცნების“ მხარდაჭერამ გაანეიტრალა ქალბატონი სალომეს ამომრჩეველი? მაგრამ, საზოგადოების დიდი ნაწილისთვის მაინც ძალიან ბუნდოვანია იმ შერცხვენილი, ქართული ცხოვრებისა და პოლიტიკის ყველა არენაზე თავმოჭრილი პარტიის კანდიდატს როგორ მისცა ხმა ქართველმა ხალხმა? თუ, მაინცდამაინც, მათი ხმის მიმცემი ამომრჩევლები „ქართული ოცნების“ პოლიტიკით უკმაყოფილონი იყვნენ, ნუთუ 25 საპრეზიდენტო კანდიდატს შორის, „ნაცების“ გარდა სხვა ვერავინ ნახეს? ნუთუ, ასე მალე დაივიწყეს მათი ფაშისტური „საძმენი საგმირონი“, ხალხის აწიოკება, შუაღამისას ბიზნესმენთა სახლებში შევარდნა, ძონების ჩამორთმევა, ახალგაზრდების ძუჩაში დახვრეტა, თავმოყვარე ვაჟკაცების შეურაცხყოფა, ღვაწლმოსილი ოფიცრების სამშობლოს მოღალატეების ბრალდებით დაპატიმრება, ფიზიკური შეურაცხყოფა, წამება და სიკვდილი? მარტო გირგვლიანისა და მოლაშვილის საქმეები (და მსგავსი რამდენი!) ეყოფოდა მთავრობას რომ დღეისათვის გახარებული და აღზევებული ნაცპარტია, ეგრეთ წოდებული ოპოზიცია, სასტიკ დანაშაულში ემხილა და მოეკვეთა პოლიტიკური არენიდან.

ყოველივე ეს აეჭვიანებს და აკვირვებს საქართველოს საზოგადოების დიდ ნაწილს. ნუთუ, შეიძლება დაივიწყოს ხალხმა ის შემაძრწუნებელი წლები, შავნიღბიანთა ქუჩებში თარეში, როზგები, რეზინის ტყვიებით დასახიჩრებული, სისხლში მოცურავე დემონსტანტები, სახურავზე შეყრილი მიცვალებულები, ტელევიზიებში შეჭრილი, თავდამსხმელი ბარბაროსები და იატაკზე გართხმული, შეშინებული ჟურნალისტები, ციხეებში დახოცილი პატიმრები... ახლა ჩვენს უცოდველ ჯარისკაცებს არ იკითხავთ? ვინ წაიყვანა ისინი გაუთვლელ და გაუთვალისწინებელ სისხლისმღვრელ ომში „დათვებთან“ საბრძოლველად, რის შედეგადაც დავკარგეთ ჩვენი სათაყვანებელი ახალგაზრდები, მათ მივაყოლეთ 150 ქართული სოფელი, ძველთაძველი ქართული მიწა? ეჰ, ჩემო ძვირფასო მკითხველო, განა ეს ზემოთ ჩამოთვლილი საშინელებანი უმძიმესი დანაშაული არ არის ჩვენი ერის წინაშე?

რა თქმა უნდა, ბატონ ვაშაძეს ამ ყველაფერში ალბათ არავითარი ბრალი არ მიუძღვის, მაგრამ ის ხომ იმ სახედაკარგულმა პარტიამ წამოაყენა პრეზიდენტობის კანდიდატად და ეს პარტია ხომ მასთან დავალებული იქნება! არა მგონია, ასეთ „გაიმასქნებულ“ საქმეს კარგი და ქვეყნისთვის სასარგებლო შედეგი მოჰყვეს. რაც შეეხება, ვინ როგორი პრეზიდენტი იქნება, წინასწარ ნუ დავიჩემებთ... უცნაურია ადამიანის ბუნება, ერთი ფუთი მარილის ჭამაა საჭირო, ადამიანს ხასიათი რომ გაუგოო — ამბობს ქართული ანდაზა. არავინ იცის გაპრეზიდენტება ვისზე როგორ იმოქმედებს. ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ წინასწარ არ შევისწავლოთ არჩევნებში მონაწილე ამა თუ იმ კანდიდატის ბიოგრაფია და ცხოვრება.

სალომე ზურაბიშვილმა თავისი საინიმუშო ბიოგრაფიით და ცხოვრებით ამომრჩევლის მოწონება დაიმსახურა. მოხიბლული ვართ მისი სიყვარულით ყოველივე ქართულისადმი, მოხიბლული ვართ მისი ქართულად აღზრდილი შვილებით, სამშობლოსადმი ერთგულებით... თუ გვინდა, რომ ჩვენს სინდისთან მართალი ვიყოთ, ავირჩიოთ ქალბატონი სალომე. იგი პასუხისმგებლობით მოეკიდება არა მარტო ჩვენს ნდობას, არამედ თავის წინაპრებსა და გვარიშვილობასაც! ჩვენი მამა-პაპის სისხლი და ხმა მალაპარაკებს, ვენდოთ სალომეს!

გულნარა სტურუა

„ᲗᲥᲣᲘᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲐᲒᲝ ᲜᲔᲑᲘᲔᲠᲘᲫᲔ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲛᲐ ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲛ“ ᲒᲐᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲐ, ᲘᲒᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲨᲔᲘᲬᲧᲐᲚᲐ!“

ᲠᲝᲛ არა პრეზიდენტ მარგველაშვილის ინდივიდუალური შეწყალების აქტი, ეს ადამიანი სასჯელს 2025 წლამდე მოიხდიდა, — ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გია ვოლსკი გორში მოზარდის მკვლელობასთან დაკავშირებით სოციალურ ქსელში წერს.

„ბავშვის მკვლელის შეწყალებასთან დაკავშირებით:

რამდენიმე დღეა ოპონენტები მიზანმიმართულად იტყუებიან და ცდილობენ, რომ მოსახლეობა და ოჯახიც შეცდომაში შეიყვანონ, თითქოსდა გორში, მცირეწლოვანი გოგონას მკვლელობაში ბრალდებულს ამნისტია შეეხო და ციხე ასე დატოვა. რეალურად, ამ შემთხვევამდე, იაგო ნებიერიძე ორი მუხლით იყო გასამართლებული და მსჯავრდებული, ამ მუხლებს კი ამნისტია არ ეხებოდა! ასეთ პატიმრებს, ციხეში არსებული სასტიკი პირობებისა და სისტემური ძალადობის გამო, სასამართლომ სასჯელი 4 წლით შეუმცირა. თუმცა, მიუხედავად ამისა, იაგო ნებიერიძეს პენიტენციური დაწესებულება მაინც არ დაუტოვებია! პრეზიდენტის ინდივიდუალური შეწყალების აქტი შეეხო“.

იგი, ვოლსკის თქმით: 2014 წელს ი.ნ.-ს პენიტენციურ დაწესებულებაში სასჯელის მოხდის დროს, აკრძალული ნივთის უკანონო შეძენა-შენახვისთვის თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ სსკ 378-ე 2 პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით მიესაჯა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა, სასჯელის მოუხდელი ნაწილი 4 წელი, 7 თვე, 25 დღე და თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა 5 წლით, 1 თვით, 25 დღით.

27.12.2016 წლის საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით ი.ნ.-ს დარჩენილი საპატიმრო სასჯელი გაუნახევრდა. მან საპატიმრო 2018 წლის 9 თებერვალს დატოვა.

რომ არა პრეზიდენტ მარგველაშვილის ინდივიდუალური შეწყალების აქტი, ეს ადამიანი სასჯელს 2025 წლამდე მოიხდიდა.

სიმართლეს არ შეესაბამება ინფორმაცია, თითქოს მკვლელობის გამო იხდიდა სასჯელს იაგო ნებიერიძე და „ქართულმა ოცნებამ“ ის გარეთ გამოუშვა. პედოფილიის და მსგავსი სიმძიმის დანაშაულის ჩამდენ პირებზე 2012 წლის ამნისტია არ გავრცელებულა. და ეს მარტივად შეიძლება გადამოწმდეს.

იაგო ნებიერიძემ სწორედ ამ გზით დატოვა ციხე!

ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ უღირსი საქციელია საზოგადოებისთვის ასეთი სენსიტიური საკითხის პოლიტიკური მანიპულაციებისთვის გამოყენება და „ქართული ოცნებისთვის“ მისამართით მსგავსი ცრუ ბრალდება“, — წერს ვოლსკი.

ᲮᲔᲚᲨᲔᲣᲮᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲛ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲐᲠᲐᲕᲘᲜᲐᲐ!

ᲛᲔ მინდა გითხრათ მხოლოდ ის, რომ ხელშეუხებელი ამ ქვეყანაში არავინაა, — ასე გამოეხმაურა თბილისის მერი კახა კალაძე ყოფილი მთავარი პროკურორისთვის ოთარ ფარცხალაძისთვის ბრალის წარდგენას.

„ოთარ ფარცხალაძეს რაც შეეხება, ამასთან დაკავშირებით განცხადებას პროკურატურა გააკეთებს. თუ ვინმეს აქვს რაიმე დანაშაული კანონის წინაშე, ყველას მოეთხოვება პასუხი და ყველა აგებს პასუხს კანონის წინაშე“, — განაცხადა კალაძემ.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ფარცხალაძეს 5 000-ლარიანი გირაო შეუფარდა. მას ბრალი ყოფილი მთავარი აუდიტორის ლაშა თორდიას ცემის საქმეზე წარედგინა. აღნიშნულთან დაკავშირებით, პროკურატურას განმარტება ჯერ არ გაუკეთებია.

ᲤᲐᲠᲪᲮᲐᲚᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲙᲘᲗᲮᲕᲐ „ᲝᲛᲔᲒᲐ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ“ ᲡᲐᲥᲛᲔᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗᲐᲪ ᲛᲝᲮᲓᲔᲑᲐ!

ᲝᲗᲐᲠ ᲤᲐᲠᲪᲮᲐᲚᲐᲫᲔᲡ, მოგეხსენებათ, ბრალი უკვე წარდგენილი აქვს სხვა სისხლის სამართლის საქმეზე და, რა თქმა უნდა, აღარ არსებობს იმის კითხვის ნიშანი, რომ იგი „ომეგა ჯგუფის“ საქმესთან დაკავშირებითაც გამოიკითხება.

ასევე, გვსურს საზოგადოებას ვაცნობოთ, რომ „ომეგა ჯგუფის“ საქმესთან დაკავშრებით ჩატარდება ყველა ის საგამოძიებო მოქმედება, რომელიც უწყვეტ რეჟიმში ახლაც მიმდინარეობს. საგამოძიებო მოქმედებების სპეციფიკიდან გამომდინარე, გამომძიებელი თავად საზღვრავს ტაქტიკას, რა რის შემდეგ უნდა განხორციელდეს.

„ამ ეტაპისთვის ფარცხალაძე „ომეგა ჯგუფის“ საქმეზე არ არის გამოკითხული, თუმცა ვადასტურებ, რომ გამოძიებისთვის არ არსებობენ ხელშეუხებელი პირები. ყველა ის პირი გამოიკითხება და ყველა საჭირო მტკიცებულება იქნება მოპოვებული, რომელიც საქმის გახსნას შეუწყობს ხელს,“ — განაცხადა პროკურორმა.

დაპირებული გზავნილი მმართველ პოლიტიკურ გუნდს, ბატონი ბიძინა ივანიშვილის მიმართვის, მასზე პოლიტიკოსთა და სხვათა რეაქციის გათვალისწინებით



მთავარია არა შეცდომების აღიარება, არამედ ხელშეკრულება ხალხთან და პრაქტიკული ქმედებები

ამ დოკუმენტს ხელს ვაწერ, როგორც პარტია **„თეთრების“** თავმჯდომარე. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ამას პირველად ვაკეთებ.

როგორც მე, ასევე პარტიაში და იმ მცირერიცხოვან გუნდში, რომელთან ერთადაც ჩართული ვიყავი საპრეზიდენტო არჩევნებში, კარგად გვაქვს გაცნობიერებული, რომ უნდა გქონდეს მორალური უფლება, მიმართო ხალხს, ან საჯარო მიმართვა გააკეთო ხელისუფლებისადმი.

დღეს ჩვენ უნდა ვაღიაროთ: ჩვენ, პოლიტიკოსებმა, მოვიყვანეთ ქვეყანა ამ კატასტროფულ მდგომარეობამდე, პასუხისმგებლობა ხალხის და ქვეყნის დღევანდელ ყოფაზე გვეკისრება ჩვენ და ელემენტარული წესიერება მოითხოვს იმას, რომ ხალხთან საუბარი და სხვისი განქიქება ხალხისთვის ბოდიშის მოხდით დავიწყოთ.

ღმერთმა ქნას, ვცდებოდეთ, მაგრამ შთაბეჭდილება გვრჩება, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოში, ხალხისა და ქვეყნისადმი ხელისუფლების პასუხისმგებლობა მოკვდა, თანამდებობის მოპოვების მთავარ კრიტერიუმად მლიქვნელობა იქცა, სოციალური დემაგოგია ყოველგვარ დასაშვებ საზღვრებს გადასცდა, წახალისებულია მოღალატეობა – პარტიიდან პარტიაში მომთაბარეობა... იყიდებიან პარტიები, პოლიტიკოსები, ტელევიზიები, საინფორმაციო საშუალებები... შეიძლება არჩევნებში (და არა მარტო) გამარჯვების ყიდვა და სხვისი დამარცხების ყიდვაც. პრაქტიკულად პოლიტიკური პროსტიტუციის ეპოქაში ვცხოვრობთ.

სწორედ ამის გამოა ხალხი ასე დამშეული და დაუძლურებული, რომ ადვილია მისი მართვა. ვაღიაროთ, რომ ეს ქვეყნის გარეთ დაწერილი პროგრამაა, რომელსაც სხვადასხვა დოზით ვახორციელებდით ყველა, ვინც ვიყავით პოლიტიკაში, განსაკუთრებით ისინი, ვინც იყვნენ ცენტრალურ ხელისუფლებაში და ყველაზე მეტად ისინი, ვისაც უმაღლესი თანამდებობები ეჭირათ.

მდგომარეობა იმაზე უარესია, ვიდრე წარმოგვიდგენია და სიღრმისეული ანალიზის გარეშე, მიუკერძოებელი და ნამდვილად მეცნიერული ანალიზის გარეშე, ძნელია სწორი დიაგნოზის დასმაც და მით უფრო, იმის განსაზღვრა, რა არის საჭირო.

დიდი სიღრმეა იმ ნააზრევში, რომელიც სახელმწიფო კაცებმა: **მერაბ ბერძენიშვილმა, რეზო ჩხეიძემ, ანზორ ერქომაიშვილმა, გივი თოიძემ, ტარიელ ხარხელაურმა, ომარ მხეიძემ, რომან რურუამ, არნოლდ გეგეჭკორმა, გიგა ბათიაშვილმა, თემურ გუგუშვილმა „მოქმედების მანიფესტში – ერთი სამშობლო, ერთიანი ერი, გაერთიანებული სახელმწიფო“** – ჩადეს რამდენიმე წლის წინ: **„ჩვენ გაგვიძლიერდა იმის შეგრძნება, რომ ერი დღემდე ვერ გახდა ქვეყნის პატრონი, საქართველო კვლავ იმართება ქვეყნის გარე ძალების მიერ, მათი ინტერესების შესაბამისად და ჩვენი სახელმწიფოს საზიანოდ. ქვეყანას მორიგეობით განაგებენ, ძირითადად, გარედან თავსმოხვეული საგანგებოდ გაწვრთნილი არაქართული ცნობიერების სუბიექტები. რაც არ გვაკლია, ეს არის ქვეყნის გარე ძალთა მსახური პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები, პოლიტიკოსები, საინფორმაციო საშუალებები... რაც არნახულად გვაკლია – ეს არის ქართული განწყობის, სახელმწიფოებრივი აზროვნების საზოგადოებრივი ორგანიზაციები, პოლიტიკური პარტიები, საინფორმაციო საშუალებები“.**

ეს არის პოზიცია, რომელსაც სრულად იზიარებს პარტია **„თეთრები“** და ის გუნდი, რომელიც იკრიბება მეცნიერთა დიდი ჯგუფის მიერ შექმნილი საპროგრამო კრებულის, **„გზა ცივილიზებული სახელმწიფოსკენ“** ირგვლივ.

ჩვენ არ ვიცით, რას ნიშნავს **„მესამე პოლიტიკური ცენტრი“,** მით უფრო მიუღებელია, ვინც საკუთარ თავს უწოდებს **„პირველს“** ან თვლის, რომ **„მეორეა“** რამეთუ ერთიც და მეორეც დამანგრეველი და ანტიქართულია, მით უფრო ვემიჯნებით ამბიციურ განცხადებებს: **„მე შევქმნი მესამე პოლიტიკურ ცენტრს“, „ჩვენ ვართ მესამე პოლიტიკური ცენტრი“.**

* * *

„თეთრები“ ვთვლით, რომ დღეს ანგარიშსწორების დრო არ არის. დღეს ქვეყნის გადარჩენის დროა. დღეს საინფორმაციო სივრცე გაივსო „ქართული ოცნების“ და ბიძინა ივანიშვილისადმი ულტიმატუმებითა და ანგარიშსწორებით. ყველას გვავიწყდება, რომ დღეს ეს პოზიცია ქვეყნის საწინააღმდეგოა და აძლიერებს რევანშისტულ ძალას. ჩვენ ყველას შეგვიძლია გავუგოთ, ვინც უკმაყოფილო და იმედგაცრუებულია ივანიშვილის გამო, მაგრამ ჩვენ არ გვესმის და ვერც გავუგებთ იმ ხალხს, რომლებსაც მოსწონთ მიხეილ სააკაშვილი და გიგა ბოკერია, ან კიდევ იმ ხალხს, რომლებსაც „ქართული ოცნებისა“ და ბიძინა ივანიშვილისადმი უკმაყოფილების გამო, შეუძლიათ მხარი დაუჭირონ ანტიქართულ, რევანშისტულ ძალას -– „ნაციონალურ მოძრაობას“.

ჩვენ, „თეთრები“, ჩვენს სამოქმედო პროგრამას რამდენიმე ეტაპად ვყოფთ:

პირველ ეტაპზე – უარი სისხლისმსმელი რეჟიმის უკან დაბრუნებას და პარალელურად, გზავნილი **„ქართულ ოცნებას“** , რომ მთავარია არა შეცდომების აღიარება, არამედ პრაქტიკული ქმედებები,რომ სრულიად არასაკმარისია ის, რაც **ბიძინა ივანიშვილმა** განაცხადა თავის გამოსვლაში და ჩვენ ვამატებთ კონკრეტულ წინადადებებს;

მეორე ეტაპზე – ხელშეწყობა და იძულება, რათა ბიძინა ივანიშვილმა და სახელისუფლებო გუნდმა შეასრულოს თავისი დანაპირები ერთი წლის განმავლობაში სიტუაციის რადიკალური შეცვლის თაობაზე; შეიქმნას მექანიზმი, რომელიც რეალურად გააკონტროლებს ამ ერთწლიან პროცესს. პარალელურად უნდა შეიქმნას მექანიზმი, რომ მომდევნო საპარლამენტო არჩევნებამდე მეცნიერებათა აკადემიის, საერთოდ მეცნიერებისა და სახელმწიფო კაცების პატრონაჟით, გაკეთდეს ქვეყანაში არსებული მდგომარეობის სიღრმისეული ანალიზი, **მეორე** – შეიქმნას პირობები წინასაარჩევნო სამართლიანი გარემოსა და დემოკრატიული არჩევნების უზრუნველყოფისთვის, **მესამე** – ხალხს მიეცეს საშუალება, ნათლად და სწორად გაიგოს, ვინ ვინ არის პოლიტიკაში და ვინ რად ღირს პოლიტიკაში.

ყოველივე ამის შემდგომ, ვაყალიბებთ კონკრეტულ წინადადებებს, რომელთა გათვალისწინება განსაზღვრავს არა პრეზიდენტობის კანდიდატის კონკრეტული პერსონისადმი, არამედ სახელისუფლებო გუნდის პასუხისმგებლობისადმი მისი სიტყვისა და ამ პროგრამისადმი დამოკიდებულებას.

I. **ჩვენ ვთვლით, რომ ქვეყანას სჭირდება სრულიად სხვა პოლიტიკური კულტურა და სტანდარტები...** კატასტროფაა, რომ **პოლიტიკა იქცა ბიზნესად** და ეს კანონითაა განმტკიცებული. პოლიტიკურმა პარტიებმა, რომლებსაც დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში, ნგრევის მეტი არაფერი გაგვიკეთებია ქვეყნისთვის, 2008 წლიდან მოყოლებული, ბიუჯეტიდან 200 მლნ-ზე მეტი თანხა მივიღეთ. მიუხედავად იმისა, რომ თავად პოლიტიკური პარტია ვართ, ვემიჯნებით ამ განწყობას. **პარტია არ უნდა ფინანსდებოდეს ხალხის ფულით. ის უნდა არსებობდეს საწევრო გადასახადების და შემოწირულობების ხარჯზე.** ჩვენ ვითხოვთ ხელისუფლებისგან: გაუქმდეს 2008 წელს ნაციონალური მოძრაობის მიერ მიღებული კანონი პარტიების ბიუჯეტიდან დაფინანსების თაობაზე. იმის გათვალისწინებით, რომ პარტია **„თეთრები“ პრიორიტეტად თვლის განათლებას,** რის კონსტიტუციურ აღიარებასაც ითხოვს. სამართლიანად მიგვაჩნია, გამონთავისუფლებული თანხებით სრულად ფინანსდებოდეს სტუდენტთა სწავლა.

II. **ხალხის იმედგაცრუებას და არჩევნებისადმი აგდებულ და ნიჰილისტურ დამოკიდებულებას იწვევს ჩვენში მყარად ფესვგადგმული ცრუ დაპირებების სისტემა, რომელსაც ხალხის მოტყუების სისტემას ვუწოდებთ.** დღეს ყველაზე მეტად ყელყელაობენ ის პარტიები და პოლიტიკოსები, რომლებმაც არჩევნების წინ მილიონი სამუშაო ადგილის შექმნის, სიღარიბის დაძლევის, კორუფციის დამარცხების პირობა მისცეს ხალხს და ყველაფერი ამის საწინააღმდეგოდ გააკეთეს. ამიტომ **ჩვენ უმნიშვნელოვანესად მიგვაჩნია ის, რომ დამოუკიდებელ ექსპერტთა მონაწილეობით შეიქმნას კომპეტენტური ჯგუფები და გაანალიზდეს საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ ჩატარებული ყოველი არჩევნების წინ მიცემული დაპირებების შესრულება.**

III. **ყველამ კარგად ვიცით, რომ საარსებო მინიმუმი 173 ლარი კი არ** არის (როგორც ამას ხელისუფლება გვიმტკიცებს), არამედ რამდენჯერმე მეტია. აბსოლუტურად მიუღებელია აპელირება საარსებო მინიმუმზე. ჩვენ უნდა დავამკვიდროთ **საარსებო კალათის** პრინციპი, როგორც ეს მიღებულია **აშშ**-სა და დემოკრატიულ ქვეყნებში. საარსებო კალათას უნდა განსაზღვრავდეს არა ხელისუფლება, არამედ დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფი მსოფლიოში დამკვიდრებული და უკვე აპრობირებული სისტემის მიხედვით. ეს სასწრაფოდ გასაკეთებელია,

IV. **საქართველოს უბედურებაა მონოპოლიზმი.** მონოპოლიზმით დაავადებულია ეკონომიკისა და საერთოდ, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო და უბანი. მონოპოლიზმს რომ საფუძვლად ნიჭი და პროფესიონალიზმი ედოს, ისიც კი მიუღებელი იქნებოდა. მაგრამ საქართველოში მონოპოლიზმი დგას კლანურ-ნათესაურ პრინციპებზე. ერთსა და იმავე სახელისუფლებო კლანს მონოპოლიზებული აქვს პოლიტიკაც, ბიზნესიც, განათლების სისტემაც, კულტურის სფეროც, ჯანმრთელობის სისტემაც, სპორტი, საინფორმაციო სივრცე, გართობის ინდუსტრიაც კი. მონოპოლიზმმა დაგვინგრია სოფელი. ქვეყნის გარედან პროდუქტების შემოტანა და საქართველოში მოწეულის რეალიზაციას ხელში უჭირავს ტრადიციულად, ხელისუფლებასთან დაკავშირებულ შუალედურ რგოლს, რომელიც მშრალზე ტოვებს მწარმოებელს და ძარცვავს მომხმარებელს. **ერთი მხრივ,** საჭიროა მკვეთრი ანტიმონოპოლური კანონმდებლობა, **მეორე მხრივ** – შეფასების სისტემა, რომლის მიხედვითაც ხელისუფალი, რომლის ახლობლებით ივსება მონოპოლიური გუნდები, **უნდა ცხადდებოდეს,** არ მოვერიდები გამოთქმას – **სახელმწიფოს მტრად**.

ხელისუფლების უპირველესი ფუნქციაა კონკურენტული გარემოს შექმნა. ქვეყანას კლავს მონოპოლიზმი და ანვითარებს კონკურენცია. კონკურენცია ეყრდნობა ნიჭს, საქართველოში სრულიად სხვა ბიზნეს-გარემო იქმნება, სრულიად სხვა ბიზნესმენები გვეყოლება, სრულიად სხვა აზროვნება იქნება ბიზნესში და სრულიად სხვა დასაქმების მდგომარეობა გვექნება ქვეყანაში, სრულიად სხვა სიტუაცია გვექნება საბანკო სისტემაშიც, რომ ხელისუფლება თავის მთავარ ფუნქციას ასრულებდეს – **კონკურენტული გარემო შექმნას**. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ბოლო ათწლეულების ყველა ხელისუფლებას ეშინია კონკურენციის, ეს ნიშნავს, რომ ეშინიათ ძლიერის და ქვეყანაში დამკვიდრდა სუსტის იდეოლოგია. ჩვენთვის, **„თეთრებისთვის“** ამ მომავალი ერთი წლის ერთ-ერთი მთავარი საზომი იქნება სწორედ ის, თუ რამდენად შეძლებს ბატონი ივანიშვილი საკუთარ თავზე, საკუთარ გუნდზე (რომელშიც არაერთი ძლიერი პიროვნებაა) გამარჯვებას და მომავლის საქართველოს მთავარ საფუძველს, კონკურენციას, ანუ ნიჭის ძალაუფლებას მოიყვანს მოქმედებაში. ეს რომ **შეძლოს, მართვის სისტემაა თავიდან ბოლომდე შესაცვლელი, რომელიც არის ავადმყოფური. სისტემა ანდამატივით იზიდავს სუსტებს და ებრძვის ძლიერს. მონოპოლიზმი და კონკურენციის არარსებობა ნიშნავს იმას, რომ ვცხოვრობთ სიყალბეში. მონოპოლიზმი კვებავს სიყალბეს.**

V. „თეთრები“ ვთვლით, რომ **სოციალური დემაგოგია აყვანილია სახელმწიფო პოლიტიკის რანგში.** შთაბეჭდილება გვრჩება, რომ გარედან მართულ პოლიტიკურ ძალებს აწყობთ გაჭირვებული, დამშეული და დაუძლურებული ხალხი, რადგან მათი მართვაც გარკვეულ ეტაპამდე, და საარჩევნოდ მოსყიდვაც, მოტყუებაც ადვილია. ეს კანონითაც განმტკიცებულია. დამოუკიდებელი საქართველოს ყველა ხელისუფალი თავს იწონებდა სოციალურად ორიენტირებული ბიუჯეტით. ლოგიკურია კითხვა: თუ დღემდე საქართველოში მიღებული ყველა ბიუჯეტი სოციალურად ორიენტირებული იყო, რაც დრო გადის, ღარიბი უფრო ღატაკი რატომ ხდება? მით უფრო მაშინ, როცა ამავე პერიოდში მდიდარი კიდევ უფრო მდიდრდება. **ქვეყანას სჭირდება არა სოციალურად ორიენტირებული, არამედ „განვითარების ბიუჯეტი“, რომელიც ორიენტირებულია მეცნიერებაზე, განათლებაზე და, რაც მთავარია, სამუშაო ადგილების შექმნაზე. ნებისმიერ ქვეყანაში ხელისუფლება იზომება შექმნილი სამუშაო ადგილების მიხედვით.**

VI. ხელისუფლებამ, უპირველესად ივანიშვილმა, უნდა აჩვენოს პოლიტიკური ნება და დაუნდობელი გახდეს გარედან დაფინანსებული ყველა ტიპისა და მიმართულების ორგანიზაციებისადმი. იმის ღირსი მაინც გახადეთ ქართველი ხალხი და საქართველოს მოსახლეობა, რომ იცოდეს, ვინ, რომელი ორგანიზაცია რა თანხით და რა წყაროდან ფინანსდება. ყველამ კარგად ვიცით, რომ აბსოლუტური უმრავლესობის უკან დგას არა ქართული, არამედ დამფინანსებლის ინტერესი. მილიარდებია შემოსული ასეთი ტიპის ორგანიზაციების დასაფინანსებლად, როცა ამისი მეასე-

დღეს ხალხის და ქვეყნის გადარჩენის დროა

დი არ მოხმარებია ქვეყანას სოციალური მდგომარეობის გასაუჯობესებლად, მეტიც, ერის და ქვეყნის კეთილდღეობას. გარისკეთ და მიიღეთ კანონი, ისეთივე, როგორიც უამრავ დემოკრატიულ ქვეყანაშია მიღებული და კრძალავს გარედან ფინანსირებადი ორგანიზაციების არსებობას. თუ ამას ვერ შეძლებთ, იმის კანონი მაინც მიიღეთ, რომ სრული გამჭვირვალება იყოს, რა თანხა მოდის და სად იხარჯება, ეს პრინციპული საკითხია, რადგან გარედან შემოსული ფული მონურ ფსიქოლოგიას უფრო აძლიერებს ქვეყანაში, ვიდრე იცავს საქართველოს მოქალაქისა და ქართველი კაცის ღირსებას. ნუთუ ხელისუფლებისთვის არ არის ცნობილი, რომ, ზოგიერთი ძლიერი საფინანსო ორგანიზაცია ქვეყანაში, როგორც ნელი მოქმედების ნაღმი, ყოველგვარი ქართულისა და ქართული ეკლესიის წინააღმდეგ არის შემოსული.

VII. ის, რაც მოსვენებას არ უნდა გვაძლევდეს, ხელისუფლებაშიც და ხელისუფლების გარეთაც, და რასაც ეროვნული სატკივარი უნდა ეწოდოს, ეს არის დემოგრაფიული მდგომარეობა ქვეყანაში. საჭიროა უსერიოზულესი ანალიზი, შესაბამისი კანონი და პრაქტიკული მოქმედებების დაწყება დღესვე. სამარცხვინოა, როგორც ჩვენ ვექცევით შრომით მიგრანტებს, საქართველოს ახალგაზრდობას, ქვეყანაში ოჯახის ნგრევის პოლიტიკა უფრო გვაქვს, ვიდრე ოჯახის გაძლიერების და განმტკიცების. ჩვენ ელემენტარულად ვერ ვიცავთ საქართველოდან წასული ჩვენი მოქალაქეების უფლებებსა და ინტერესებს უცხო ქვეყანაში. იმის გაკეთებას მაინც რა უნდა, რომ უცხოელებს ჩვენს ქვეყანაში იგივე უფლებები ჰქონდეთ, რაც ჩვენს მოქალაქეებს აქვთ იმ ქვეყნებში. კანონმდებლობა, რომელიც გვაქვს იმ სოციალური მდგომარეობისა და პოლიტიკის ფონზე, რაც ქვეყანაშია, ქვეყანას ცლის ქართველებისა და საქართველოს მოქალაქეებისგან და შევსებას აკეთებს უცხოელების ხარჯზე. დაახლოებით ოცი წელია, რაც ამ ღალატში ცხოვრობს ქვეყანა. ჩვენ ვითხოვთ რადიკალურ ღონისძიებებს და ისე, როგორც ცივილიზებულ, დემოკრატიულ ქვეყნებშია, მიწას, წყალს, ტყეებს, მდინარეებს, წიაღისეულს არ უნდა ვყიდდეთ, მეტი პატივისცემით უნდა ვეკიდებოდეთ ქართულ ნედლეულს.

VIII. საქართველოს არ აქვს თავისი ინტერესების გამომხატველი **კონსტიტუცია და საარჩევნო სისტემა**. ბოლო პერიოდში მიღებული კანონები გლობალურ პოლიტიკას უფრო ემსახურება, ვიდრე ქართულ, და ზოგადად ქვეყნის ინტერესებს. ჩვენ სწორად გვეუბნებიან ჩვენი ძმები, **აფხაზები** და **ოსები** და საერთოდ, ჩვენი მეგობრები მთელ მსოფლიოში, რომ მიღებული კანონებით გაცილებით ვცილდებით ერთმანეთს, ვცილდებით ქართულ ტრადიციებს. ვცილდებით ერთიანი კავკასიური ოჯახის წეს-ჩვეულებებს და ეს ყველაფერი კეთდება იმის ფონზე, რომ ყველა პარტია თავის თავზე ირგებს კონსტიტუციას და კანონმდებლობას საერთოდ. თუ გეყოფათ გამბედაობა, **ბატონო ბიძინა,** აღიარეთ. ან უარყავით და შეგვეკამათეთ. ჯერ **„მოქალაქეთა კავშირმა“,** შემდგომ **„ნაციონალურმა მოძრაობამ“** უფრო ძლიერად და არანაკლებად, **„ქართულმა ოცნებამ“,** უარყავით **დავით აღმაშენებლის** გზა და საქართველო აქციეთ ზესახელმწიფოთა დაპირისპირების ერთ-ერთ მძლავრ ცენტრად. ყველაზე ცუდი ის არის, რომ ეს გიხარიათ გარედან მართულ პოლიტიკურ ძალებს. **„თეთრების“** და იმ გუნდის, ვინც შექმნა დიდი პროგრამა — პროექტი **„გზა ცივილიზებული სახელმწიფოსკენ“** და იზიარებს კრებულის განწყობას, პოზიცია ურყევია: **საქართველო უნდა იყოს თანამშრომლობის ქვეყანა და ამ თანამშრომლობას საფუძვლად უნდა ედოს ქართული ინტერესი. ჩვენ მყარად ვდგევართ იმ აზრზე, რომ გადარჩენა ქვეყნის შიგნითაა და არა ქვეყნის გარეთ, რომ ქვეყნის გადარჩენა მხოლოდ ქართულ გზაშია, რომელიც არასდროს ყოფილა ჩაკეტილი, ყოველთვის ნაზიარები იყო ზოგადკაცობრიულთან. ჩვენი პოზიცია მყარია იმაში, რომ ქვეყნის გარეთ მეგობრები უნდა ვეძიოთ და არა პატრონები**

IX. საქართველოში პოლიტიზებულია ყველაფერი — ხალხის ყოფაც, ბანკებიც, ენერგეტიკაც, ადამიანური ურთიერთობის სფეროც კი. დამოუკიდებელი საქართველოს ყველა ხელისუფლებამ ინტელიგენცია უფრო გამოიყენა სკამის მოსაპოვებლად თუ შესანარჩუნებლად, ვიდრე ქვეყანაში რეალური მდგომარეობის შესაცვლელად. დემოკრატიული ქვეყნების სტანდარტი მარტივია: ინტელიგენტი არის ის, ვინც ხალხს იცავს ხელისუფლებისგან. საქართველოში ეს შებრუნებულია. ინტელიგენციის დიდმა ნაწილმა მიატოვა ხალხი და ხელისუფლებას იცავს ხალხისგან. სამწუხაროდ, ინტელიგენციისთვის ხელისუფლებასთან ურთიერთობა გახდა ურთიერთობა არსებობისთვის. დღემდე ვერ შეძლო ვერც ერთმა ხელისუფლებამ, მიეღო კანონი ქველმოქმედების შესახებ. აღიარეთ, რომ ეს არის შეცდომა, დაიცავით ინტელიგენცია თქვენი ფულისგან და მიეცით ინტელიგენციას თავისუფლად, ლაღად ცხოვრების უფლება და ქვეყანაც შეიცვლება. არაერთი მაგალითის მოყვანა შემიძლია, როგორ დასაჯეს ხელისუფლებებმა მათი არამორჩილი ღონიერი მოაზროვნეებიც კი.

* * *

ჩვენ ვიყავით და ვრჩებით სისტემური ცვლილებების მომხრედ. კიდევ ერთხელ ვადასტურებთ: მართვის სისტემაა შესაცვლელი და ის ძლიერზე უნდა იყოს ორიენტირებული. პრობლემების მინიმუმ, 90% დაწყებული ბანკებით და დამთავრებული ხალხის უმძიმესი ყოფით, ავადმყოფი მართვის სისტემის ბრალია.

ჩვენ ამ დოკუმენტში შევეხეთ სწორედ იმ საკითხებს, რომელთა გათვალისწინებით შეიცვლება არსებული სისტემა. **ჩვენთან არასწორადაა გაგებული დემოკრატია.** ხატოვნად რომ ვთქვა, თუ დემოკრატია 100-სართულიანი სისტემაა, თავისუფალი სასამართლო და თავისუფალი არჩევნები ამ სისტემის 99-ე და მე-100 სართულია. გული მწყდება, რომ პოლიტიკოსები ქვეყნის შეცვლას ფუნდამენტის გარეშე ბოლო სართულებიდან ვიწყებთ.

დემოკრატია არის იმ ქვეყანაში, სადაც კონკურენტული გარემოა, სადაც საშუალო ფენაა ძლიერი, სადაც ეკონომიკა და ფინანსებია დეცენტრალიზებული, სადაც ადამიანს აქვს არჩევნის უფლება, აღარ ვსაუბრობ ისეთი აუცილებელი დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნაზე, როგორიცაა პროფკავშირები, სტუდენტური და ახალგაზრდული მოძრაობა, ყველა დონის სახელისუფლებო კადრების მომზადების სისტემა.

ჩვენ სწორედ ამ საკითხებზე ყურადღების კონცენტრირებას ვითხოვთ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში ბატონი ივანიშვილისგან, რომელმაც თავისი განცხადებით არსებულ მდგომარეობაზე პასუხისმგებლობის სიმძიმე სრულად აიღო საკუთარ თავზე. ჩვენ ვსაუბრობთ სისტემაზე და არა პერსონალიზაციაზე.

სწორედ აქ ვამბობთ, რომ ჩვენ გვაქვს მორალური უფლება იმისა, რაც დავწერეთ 1997 წლის 13 ივნისს, როცა დიდი ბრძოლით მოვიპოვე პარლამენტში სიტყვის უფლება, იქ ვთქვი: **„ქვეყანაში სისტემაა კორუმპირებული და „მოქალაქეთა კავშირი“ ებრძვით პიროვნებებს“.**

„თეთრების“, მისი გულშემატკივრებისა და მეგობრების მოთხოვნა „ნაციონალური მოძრაობის“ ასევე „ქართული ოცნების“ მიმართ, იყო და არის: მართვის სისტემაა შესაცვლელი. არ შეიძლება ამ მიწის, ამ წყლის, ამ ჰაერის, ამ სითბოს, ამ ბუნებრივი და ადამიანური რესურსების, ამ გეოგრაფიული და ინტელექტუალური პოტენციალის ქვეყანაში ასე ვცხოვრობდეთ — ერთნაირად უბედური იყოს მილიარდერიც და არაფრის მქონეც.

ჩვენთვის მთავარია მორალური გუნდის შექმნა. სწორედ ამით დავიწყე. მორალური უფლება უნდა გქონდეს, მიმართო ხალხს და საჯაროდ — ხელისუფლებას. „თეთრებს“ აქვს მორალური უფლება იმის გამო, რომ არასდროს ვყოფილვართ აგრესიული, რევანშისტული და ჩასაფრებული, ყოველთვის თანამშრომლობის განწყობით ვიყავით, ვეყრდნობოდით მეცნიერებას, ვაანალიზებდით მდგომარეობას და ამ ანალიზებს პატიოსნად ვუგზავნიდით ხელისუფლებას. ჩვენს რიგებში მიუღებლობაა პარტიიდან პარტიაში მორბენალის, მოღალატის, მედროვის. ჩვენში არის სოლიდარობის პასუხისმგებლობის გრძნობა როგორც ერთმანეთის, ასევე ქვეყნის მიმართ.

მე, როგორც პარტიის თავმჯდომარე, უდიდეს პასუხისმგებლობას ვგრძნობ ჩვენი მცირერიცხოვანი,მაგრამ ინტელექტუალური გუნდის წინაშე და დღესაც კი ვაქვეყნებ იმ ხელწერილს, რომელიც პირველად 1997 წელს გამოვაქვეყნე, რომელშიც პირდაპირ და გამოკვეთილად მიწერია: „დედამიწის ზურგზე მამაპაპისეულის გარდა არაფერი გამაჩნია და ვინც იპოვის, ვჩუქნი მას“, ეს ის ხელწერილია, რომელმაც თავის დროზე შეაშინა მიხეილ სააკაშვილი და ე.წ. რეფორმატორთა გუნდი. ვერც ერთმა პარტიამ ვერ შეძლო ისეთი სისტემის შექმნა, რომ რითაც ხელისუფლებაში მოდის ადამიანი, იმით მიდიოდეს ხელისუფლებიდან, რომ ხელისუფლებაში ყოფნისას არ მდიდრდებოდეს.

ჩვენ ვთვლით, რომ დღეს, ამ სიტუაციაში, ხელისუფლებასა და პოლიტიკაში ის ადამიანები უნდა იყვნენ, რომელთაც შეუძლიათ პირადულზე უარის თქმა და ხალხისთვის თავგანწირვა.

როცა საჭირო გახდა ქვეყნისთვის, სიცოცხლის ფასად დავუხვდით ტანკებს და ორჯერ დიდი სისხლისღვრა ავიცილეთ და იმ თვითმფრინავში შევედით ქართველებისა და აფხაზების მეგობრობის გადასარჩენად, რომელსაც ჩამოგდებას უწინასწარმეტყველებდნენ. ჩვენში დღესაც არის პასუხისმგებლობა იმის გამო, რომ „თეთრების“ ემბლემა თავისი სულის კარნახით შექმნა უდიდესმა ხელოვანმა მერაბ ბერძენიშვილმა, რომ ჩვენი პარტიის დაფუძნების კონგრესს ესწრებოდნენ ქართული მეცნიერების, ხელოვნების და სპორტის კორიფეები...

მოვალედ ვთვლი, ეს წერილი გამოვაქვეყნო პრესაში. ხალხმა იცოდეს, ჩვენი პოზიცია, რომ ჩვენ ამ მოსაზრებების გათვალისწინებით შეგვიძლია, პარტიულ ინტერესზე უარის თქმა, იმის იმედით, რომ ივანიშვილი გულწრფელია თავის გადაწყვეტილებაში, რეალურად შეცვალოს მდგომარეობა და ქვეყნის მთელი ინტელექტუალური პოტენციალის გამოყენებით და მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით, ჩატარდეს მომდევნო საპარლამენტო არჩევნები, რომელშიც მან არათუ მონაწილეობა არ უნდა მიიღოს, არ ჩაერიოს და არ გაუწიოს არც ერთ პოლიტიკურ ძალას ფინანსური მხარდაჭერა, ერთი კი შეძლოს, რომ ყველა პარტიას ერთნაირი სასტარტო მოედანი შეუქმნას საინფორმაციო სივრცეში. ჩვენ აუცილებელ პირობად ვაყენებთ იმას, რომ როგორც დემოკრატიულ ქვეყნებში, არსებობდეს პოლიტიკური ტელეარხი, სადაც ყველა პოლიტიკურ ძალას (კვალიფიციურისა და არაკვალიფიციურის მიუხედავად) ერთნაირი დრო მიეცემათ, ერთნაირი პირობები ექნებათ წარმოაჩინონ საკუთარი თავი. რომ ამ არხზე შეიქმნება ჯანსაღი სისტემა თანამედროვე სტანდარტების პოლიტიკური დისკუსიის, ყოველგვარი სუბიექტური სიმპათია-ანტიპათიის გარეშე

და კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი. საჭიროა ხელშეკრულება ხალხთან. ჩვენ გვინდა პასუხი ჩვენ მიერ დასმულ კითხვებზე. ხელშეკრულების გაფორმების მექანიზმი შესამუშავებელია. ერთი შეთავაზება ჩვენ შეგვიძლია: იქმნება „სახელმწიფოებრივად მოაზროვნეთა საკრებულო“, როგორც ეს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშია და როგორც ამის შესახებ უცხოეთის გამცდილებაზე დაყრდნობით, თავის ქადაგებაში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა შესთავაზა ხელისუფლებას. ამ საკრებულოში უნდა იყვნენ ზნეობრივი ავტორიტეტები (ღვთის წყალობით, ქვეყანას ჯერ კიდევ ჰყავს ასეთები) და ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც თავისი გუნდის მთელი პასუხისმგებლობის სიმძიმე იტვირთა, ამ ადამიანებს პირდაპირ სატელევიზიო ეთერში უნდა აბარებდეს ანგარიშს, თუ როგორ ასრულებს პირობას და უსმენდეს მათ შეფასებებს. ამავე დროს, უნდა დაიწყოს აკადემიური, მშვიდი და წყნარი დიალოგი მოსახლეობასთან, საერთოდ, საზოგადოების ყველა ფენასთან ეროვნული თანხმობისთვის. ამაზე უარის თქმას არც დრო, არც ხალხი არ გვაპატიებს!

პარტია „თეთრების“
სახელით, თავმჯდომარე
თეიმურაზ შაშიაშვილი
6 ნოემბერი, 2018 წელი

„არა — ფობიას!“

სააკაშვილის განცხადებები ქსენოფობიური და საქართველოს ტურისტული პოტენციალისთვის დამაზარალებელია

ამის შესახებ სამოქალაქო პლატფორმის „არა ფობიას!“ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული.

„სამოქალაქო პლატფორმა „არა ფობიას!“ ეხმაურება საქართველოს ექსპრეზიდენტისა და პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერის მიხეილ სააკაშვილის მიერ 2018 წლის 4 ნოემბერს გაკეთებულ ქსენოფობიურ და ანტისოციალურ განცხადებას. პლატფორმის წევრი ორგანიზაციები მოვუწოდებთ მას, ისევე როგორც სხვა პოლიტიკოსებს, თავი შეიკავონ სიძულვილის ენის გამოყენებისგან და მეტიც, აქტიურად შეუწყონ ხელი თანასწორობაზე, ტოლერანტობასა და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული პოლიტიკური იდეების დამკვიდრებას საზოგადოებაში.

განცხადებაში მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა: „ჩვენ გვჭირდება მდიდარი ტურისტები ყველა მხრიდან. ეს გაძვალტყავებული, ბოდიში და ჯღანები რომ შემოდიან, თავისი ძეხვი რომ მოაქვთ და კონსერვები, ამით ჩვენ ვერ გავმდიდრდებით. ჩვენ გვჭირდება ემირატებიდან და არა ბანგლადეშიდან(..)“

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული განცხადება წარმოადგენს ეთნიკური და სოციალური/კლასობრივი ნიშნით პირთა დისკრიმინაციის წახალისებას და აფრიკის და აზიის ქვეყნებიდან მიგრანტების, როგორც ისედაც მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მარგინალიზაციას აღრმავებს. ამგვარი განცხადებები უარყოფით გავლენას ახდენს თანასწორობაზე, საზოგადოებრივ კონსოლიდაციაზე დაფუძნებული პოლიტიკური გარემოს ჩამოყალიბებაზე და ხელს უწყობს ქსენოფობიური განწყობების გაძლიერებას და პოლიტიზირებას ჩვენს საზოგადოებაში.

აღსანიშნავია, რომ ეს არ არის მიხეილ სააკაშვილის მიერ ბოლო დროს გაკეთებული სიძულვილის ენის შემცველი ერთადერთი განცხადება. ქსენოფობიური იდეებით გამოირჩეოდა მის მიერ 2018 წლის 31 ივლისს ტელეკომპანია „რუსთავი-2“ ის ეთერში, ხოლო 2018 წლის 31 აგვისტოსა, 1 და 9 სექტემბერს საკუთარ „ფეისბუქ“ გვერდზე გაკეთებული განცხადებებიც, რომლებშიც იგი ღარიბ ტურისტებზე საუბრისას ხაზს უსვამს მათ ეთნიკურ წარმომავლობას და აპელირებს იმაზე, რომ ასეთი ადამიანების ვიზიტი სახელმწიფო ინტერესებს ეწინააღმდეგება. „...ესე იგი, ეს სტატისტიკა უტყუარად აჩვენებს, რომ ქართველების სამუშაო ადგილები წაიღეს ღარიბმა ირანელებმა, თურქებმა და სხვა უცხოელებმა. მდიდარი ინვესტორების ნაცვლად, რომელთაც ქართველები უნდა დაესაქმებინათ, მივიღეთ გაღლეტილი მიგრანტები, რომლებიც საკუთარ თავს ძლივს ასაქმებენ“, — აცხადებს ის. ანტიმიგრანტული რიტორიკა, ბოლო წლებში გაძლიერებული ულტრაკონსერვატიული პოლიტიკური ჯგუფების დღის წესრიგის ნაწილია და სამწუხაროა, რომ მსგავსი იდეების შემოტანა აქტიურად ჩვენს პოლიტიკურ სივრცეშიც ხდება. იმ პირობებში, როდესაც ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს, ასევე დაბალი სოციალური კლასის მიგრანტების მიმართ მტრის ხატის შექმნა და სიძულვილის მობილიზება, სოციალური უსამართლობიდან კულტურულ საკითხებზე ყურადღების ხელოვნური გადატანის მცდელობაა და ზოგადად დაბალი სოციალური კლასის ადამიანების გარიყვას იწვევს.

სამწუხაროა, თუმცა ფაქტია, რომ ქსენოფობიური შინაარსის შემცველ განცხადებებს წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკოსები ელექტორალური მობილიზაციის მიზნით იყენებენ და ამ გზით ხელს უწყობენ სოციალური კონფლიქტების და საზოგადოებაში ისედაც არსებული ქსენოფობიური, რასისტული განწყობების გაძლიერებას და პოლიტიკურ სივრცეში ღია შემოტანას, რაც ცხადია, წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს, როგორც დემოკრატიული და ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული სახელმწიფოს იდეასთან. მოვუწოდებთ პოლიტიკურ პარტიებს, არ გამოიყენონ სიძულვილის ენა საჯარო გამოსვლებისას თუ ამომრჩევლებთან საუბრისას და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით აქტიურად დაუჭირონ მხარი თანასწორობის პრინციპს“, — ნათქვამია განცხადებაში.

პლატფორმაში შემავალი არასამთავრობო ორგანიზაციები:

საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI); დემოკრატიისა და უსაფრთხო განვითარების ინსტიტუტი (IDSD); მედიის განვითარების ფონდი (MDF); ღია საზოგადოების ფონდი (OSGF); საერთაშორისო გამჭირვალობა — საქართველო (TI); სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED); კავშირი საფარი; კონსტიტუციის 42-ე მუხლი; საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS), ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), თანასწორობის მოძრაობა (Equality Movement)

ჩვენი კარი ღიაა ყველა ტურისტისთვის!

დია**ხ, ჩვენი კარი ყველა ტურისტისთვის არის ღია, მიუხედავად მათი ფინანსური შესაძლებლობებისა, — ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ გუშინ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისი თქმით, ის ეწინააღმდეგება ხელისუფლების ოპონენტების „ქსენოფობიურ, დისკრიმინაციულ“ მიდგომებს.

„სტუმარი ღვთისაა, ჩვენთვის ყველა სტუმარი ძვირფასია, თუმცა რაც შეეხება ბინადრობასა და ცხოვრების უფლებას, ყველა განვითარებულ ქვეყანაში ბაზრის მოწესრიგებისთვის მთელი რიგი რეგულაციები არსებობს. ამ სფეროს სწორი მიდგომები, ჩვენი სტუმრების პოტენციალის სწორად გამოყენება, იმგვარად დარეგულირება სჭირდება, რომ დაბალანსებული იყოს მობინადრეთა, აქ ცხოვრების მსურველთა და პირველ რიგში, ჩვენი მოქალაქეების უფლებები. ჩვენ დიდ ძალისხმევას მივმართავთ თბილისში და მთლიანად საქართველოში ინფრასტრუქტურის მოწყობაზე, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის აღდგენასა და მოვლა-პატრონობაზე, ამის დასტურია, ახალი აღმაშენებელი, ორბელიანის და გუდიაშვილის მოედნები, რომლის რეაბილიტაცია მიმდინარეობს და მომდევნო წლებში ასევე დაგეგმილია სხვა ასეთი უბნების რეაბილიტაცია. დიდ ძალისხმევას მივმართავთ ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და საქართველო ყველაზე უსაფრთხო ქვეყნებს შორის მოიხსენიება. ყველაფერ ამას ჩვენი ბიუჯეტი, საქართველოს სტუმართმოყვარე მოქალაქეები აფინანსებენ და ამას გაფრთხილება, მოვლა-პატრონობა სჭირდება. უცხოელებს, ვისაც ყველა ამ სიკეთით სარგებლობა უნდათ და გააჩნიათ საქართველოში ბინადრობის სურვილი, მოუწევთ ადეკვატური კონტრიბუცია გაიღონ. სწორედ ამიტომ, თქვენ იცით, პარლამენტი უკვე მეორე მოსმენით განიხილავს პარტია „ქართული ოცნების“ მიერ ინიცირებულ კანონპროექტს, რომელიც მკაცრად არეგულირებს უცხოელთათვის ბინადრობის უფლების მინიჭების საკითხს.

შემოთავაზებული პროექტის თანახმად, 35 000 დოლარის ნაცვლად, ბინადრობის უფლების მოსაპოვებლად 100 000 დოლარის უძრავი ქონება იქნება მოთხოვნილი, ხოლო ერთი და იმავე ქონებით სხვადასხვა პირისთვის ბინადრობის უფლების მინიჭება იქნება შეუძლებელი. დღეის მდგომარეობით 300 000 ლარის ინვესტიციის საფუძველზე ბინადრობის უფლების განუსაზღვრელი ვადით მიღებაა შესაძლებელი. ინიცირებული კანონპროექტის თანახმად, 300 000 ლარი 300 000 დოლარით, მუდმივი ბინადრობის უფლება კი 5-წლიანი ვადით შეიცვლება. ამ პოზიციას სრულად იზიარებს პრეზიდენტობის კანდიდატი, ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი და ამ პათოსს სწორად გაიტანს უცხოეთში. ჩვენი ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი მიზანია საქართველო რეგიონის კულტურულ-ეკონომიკურ ცენტრად პოზიციონირება, რაც ჩვენი ქვეყნისა და მოქალაქეების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.

ქართული კომპანიები ესტონეთის საინვესტიციო პოტენციალს ეცნობიან

თბილ**ი**ს**ში**, სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ გაიმართა ბიზნეს-კონფერენცია: „ესტონეთი-ინოვაციური პლატფორმა საერთაშორისო ბიზნესისთვის“. ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ: საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა, ესტონეთის საელჩო საქართველოში, სააგენტო — „აწარმოე ესტონეთში“ და ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს-საბჭო. ღონისძიების მიზანი ქართული კომპანიებისთვის ესტონეთის საინვესტიციო პოტენციალის გაცნობა იყო. ბიზნეს-კონფერენცია ძირითადად დაეთმო ინდუსტრიული მრეწველობის, IT ტექნოლოგიებისა და ლოჯისტიკის სფეროში ესტონეთის შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის გაზიარებას.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა ესტონურ მხარესთან აქტიურად თანამშრომლობს. ბოლო 2 წლის განმავლობაში, ესტონურ მხარესთან თანამშრომლობით თბილისში — 2, ტალინში კი 1 ბიზნეს-ფორუმი გაიმართა. ბოლო ასეთი ღონისძიება საქართველოში ესტონეთის პრეზიდენტის კერსტი კალულაიდის სახელმწიფო ვიზიტის ფარგლებში შედგა.

2018 წლის 9 თვის მონაცემების შესაბამისად, საქართველოსა და ესტონეთს შორის სავაჭრო ბრუნვა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, გაიზარდა 33%-ით და განისაზღვრა 9,73 მლნ. აშშ დოლარით. ექსპორტი გაიზარდა 169%-ით და 5,96 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

აშშ-ის ირანული ამოცანა საქართველოსთვის...

5 ნ**ო**ემ**ბ**რ**ი**დ**ა**ნ აშშ-ირანის ურთიერთობები ახალ ფაზაში გადავიდა: პრეზიდენტ ტრამპის მაისის მუქარა, ისლამური რესპუბლიკა ნავთობდოლარების მიღების შესაძლებლობის გარეშე დაეტოვებინა, სრულდება: მისი ბრძანებულება ანტიირანული სანქციების მეორე პაკეტის შემოღების შესახებ ძალაში შევიდა.

„აშშ ღია რჩება ირანთან ახალი, უფრო ყოვლისმომცველი შეთანხმების გასაფორმებლად, რომელიც მას სამუდამოდ დაუხურავს გზას ბირთვული იარაღისკენ, უპასუხებს ისლამური რესპუბლიკის ხელისუფლების ბოროტი ზრახვების მთელს სპექტრს და იმავდროულად, იქნება დოკუმენტი, რომელსაც ირანელი ხალხი იმსახურებს. ირანის რეჟიმს მოვუწოდებთ, უარი თქვას საკუთარ ბირთვულ ამბიციებზე, შეცვალოს დესტრუქციული ქცევა, დაიწყოს საკუთარი ხალხის უფლებების პატივისცემა, დაუბრუნდეს კერძო მოლაპარაკებებს“, — აცხადებენ აშშ-ში და ამ სწრაფვაში მოკავშირეების მხარდაჭერის იმედს გამოთქვამენ.

ამერიკული სანქციების ყველა დამრღვევს სასჯელი ელის. გამონაკლისს მხოლოდ 8 ქვეყანა წარმოადგენს: აშშ მზადაა, უახლოესი ნახევარი წლის განმავლობაში მათთან ირანის გამო კონფლიქტში არ შევიდეს.

საქართველო ამ სიაში არ ფიგურირებს, თუმცა ირანთან ურთიერთობები აქვს.

დამკვირვებლების აზრით, ის, რომ მოკავშირეები აშშ-ს მხარს დაუჭერენ, უდავოა, ყოველ შემთხვევაში, საქართველოსთვის აშშ სტრატეგიული პარტნიორია და ამ საკითხში თბილისი ვაშინგტონის წინააღმდეგ არ წავა. სწორედ ამაზე იზრუნა, მათი აზრით, აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველმა ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში **ჯონ ბოლტონმა** თბილისში ამასწინანდელი ვიზიტის დროს.

იმხანად, საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდში ამერიკული სტუმრის მიმართ დასმული კითხვების უმრავლესობა შიდა პოლიტიკასა და რუსულ ფაქტორს ეხებოდა — მანამდე ხომ მან მოლაპარაკებები პრეზიდენტ პუტინთან გამართა. თუმცა თავად ბოლტონისთვის თბილისში გამართულ მთავარ შეხვედრას, როგორ ჩანს, წარმოადგენდა საუბარი საქართველოს შს მინისტრ **გიორგი გახარიასთან** და უშიშროების შეფ **ვახტანგ გომელაურთან**. ამ შეხვედრაზე, არსებული ინფორმაციით, სწორედ ირანის საკითხი განიხილებოდა.



უსაფრთხოების საკითხთა ექსპერტ **გიორგი გობრონიძის** აზრით, ეს აშშ-ის უსაფრთხოების სტრატეგიის კონტექსტში ერთ-ერთი ცენტრალური თემაა და თბილისს შეეძლო, ლოიალურობისთვის გარკვეული კომპენსაციის პირობა მიეღო:

„ეს შეიძლება, იყოს ახალი გრანტები ან ფულადი დახმარება, რომელსაც აშშ ისედაც უყოფს საქართველოს ამ სანქციებისადმი მიერთების შემთხვევაში მოსალოდნელი ზიანის კომპენსირებისთვის. მეორე მხრივ, საქართველო, რა თქმა უნდა, ღიად ამ სანქციებს მხარს არ დაუჭერს, ისევე, როგორც თავის დროზე არ დაუჭირა მხარი რუსეთის საწინააღმდეგო სანქციებს, რათა სხვა ესკლაციები თავიდან აერიდებინა“.

თავად თეირანი აცხადებს, რომ „ეს სანქციები კატალიზატორი გახდება ირანის თვითმყოფადობის მიმართულებით მოძრაობისათვის, ხოლო რესტრიქციების შემოღება მხოლოდ დააჩქარებს თავად შეერთებული შტატების კრახს“.

ისლამური რესპუბლიკის პოზიცია ქვეყნის უმაღლესმა ლიდერმა **აიათოლა ალი ჰამენეიმ** გაახმოვანა:

„დღეს აშშ ბევრად უფრო სუსტია, ვიდრე 40 წლის წინათ, როდესაც ისლამურმა რევოლუციამ გაიმარჯვა. აშშ-ის ძალები სუსტდება და ეს მნიშვნელოვანი მომენტია. პოლიტიკოსებისა და საერთაშორისო ანალიტიკოსების უმრავლესობა თვლის, რომ ნელ-ნელა ირღვევა აშშ-ის „რბილი ძალაც“. ასე რომ, მათ, ვისაც სურს, რომ ჩვენ აშშ-სთან კომპრომისზე წავიდეთ და დაუსაბუთებელი ნაბიჯი გადავდგათ, ვეტყვი, რომ აშშ დაღმასვლას განიცდის“.

თუმცა თბილისისთვის ვაშინგტონისა და თეირანის დაპირისპირება შეიძლება, ნიშნავდეს არა აბსტრაქტულ, არამედ სრულიად რეალურ „დაღმასვლას“ ირანთან ურთიერთობებში. ეს უკანასკნელი ხომ საქართველოსთვის არა წამყვანი, თუმცა საკმაოდ პერსპექტიული სავაჭრო პარტნიორია: 2017 წელს ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ბრუნვამ თითქმის 200 მლნ დოლარი შეადგინა, მიმდინარე წელი კი შეიძლება, კიდევ უფრო პერსპექტიული გამოდგეს.

გარდა ამისა, ზოგიერთი ანალიტიკოსის აზრით, საქართველომ შესაძლოა, საკუთარი სატრანზიტო პოტენციალის ნაწილი დაკარგოს და ამასთანავე, იძულებული იქნება, უარი თქვას ნავთობისა და გაზის დარგში სრულიად კონკრეტულ პროექტებზე, როგორიცაა, მაგალითად, ირანული კომპანიის მიერ ბაქო-სუფსის მილსადენის ნავთობტერმინალის რაიონში ნავთობგადამმუშავებელი კომპლექსის მშენებლობა, რომლის მეშვეობითაც აზერბაიჯანული ნავთობი მსოფლიო ბაზრებს მიეწოდება.

თუმცა **გიორგი გობრონიძის** აზრით, ირანი იმდენად არ არის ჩართული ქართულ ეკონომიკაში, რომ ეს საკითხი საქართველოსთვის სტრატეგიულად იქცეს:

„რა თქმა უნდა, ირანი ჩვენი სავაჭრო პარტნიორია, თუმცა არა წამყვანი. საქართველო-ირანის ვაჭრობაში დიდი დინამიკის მიუხედავად, იქ მაინც არ გვაქვს იმხელა მოცულობა, რომელიც სერიოზულ გავლენას მოახდენდა ქართულ ეკონომიკაზე. მეორე მხრივ, ყოველთვის ვიხსენებ 2006 წელს, აშშ-სა და ირანს შორის მორიგი ესკალაციის პერიოდს — როდესაც ამერიკამ სანქციები შემოიღო, თუმცა საქართველომ სავიზო რეჟიმი მაინც გააუქმა და ირანთან ურთიერთობების ინტენსიფიცირება მოახდინა. აშშ ჩვენს გადაწყვეტილებას გაგებით მოეკიდა და იხელმძღვანელა იმით, რომ ირანი ჩვენი მეზობელი სახელმწიფოა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში საქართველოს უფლება აქვს, საკუთარი ეროვნული ინტერესებით იხელმძღვანელოს“.

როგორც **გობრონიძე** აღნიშნავს, **„რუსეთისგან განსხვავებით, აშშ ცდილობს, მისთვის არაპრინციპულ საკითხებში თავის მოკავშირეებზე ზედმეტი წნეხი არ განახორციელოს, შესაბამისად, ის ეკონომიკური ურთიერთობები, რომელიც საქართველოსა და ირანს შორის არსებობს, ნაკლებ სავარაუდოა, სერიოზულად შეიცვალოს, თუმცა იმ შემთხვევაშიც კი, თუ საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება და ანტიირანულ სანქციებთან მიერთება მოუწევს, სადღეისოდ თეირანს არ აქვს შესაძლებლობა, თბილისს სერიოზული უსიამოვნებები შეუქმნას“.**

საქმე № 1/33-2018

საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით

საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

ქ. თბილისი 6 ნოემბერი 2018 წელი

არბიტრი: **ქეთევან ტაბატაძე**

საარბიტრაჟო მოსარჩელე: **შპს „ნოვა კრედიტი”**

საარბიტრაჟო მოპასუხე: **ნიკოლოზ კუჭავა, გიორგი კერესელიძე**

დავის საგანი: **ფულადი ვალდებულებების შესრულება**

არბიტრმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გამოარკვია:

შპს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2018 წლის 22 ოქტომბერს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი მოპასუხე ნიკოლოზ კუჭავასა და გიორგი კერესელიძის მიმართ ფულადი ვალდებულების შესრულების მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2017 წლის 17 აგვისტოს შპს ,,ნოვა კრედიტსა” და ნიკოლოზ კუჭავას შორის დაიდო №081760319 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს ,,ნოვა კრედიტმა” მსესხებელზე გასცა 5150 ლარის ოდენობით

სესხი, წლიური 60 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 12 თვე.

ხელშეკრულების თანახმად, ისეთ შემთხვევაში თუ მსესხებელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას დაარღვევს მას დაერიცხება პირგასამტეხლო ვადაგადაცილებული თანხის 3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან მთლიანი ძირითადი თანხის ვადაგადაცილების შემთხვევაში ძირითადი თანხისა და მიუღებელი სარგებლის ჯამის 0.3 პროცენტი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

2017 წლის 17 აგვისტოს შპს ,,ნოვა კრედიტსა” და გიორგი კერესელიძეს შორის გაფორმდა თავდებობის ხელშეკრულება.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ნიკოლოზ კუჭავასა და გიორგი კერესელიძის მიმართ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფულადი ვალდებულების შესრულება.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე გიორგი კერესელიძეს ორჯერ გაეგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, თუმცა კორესპონდენციის რამოდენიმე მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. როგორც აღნიშნულ გზავნილებზე უფლებამოსილ პირთა მიერ განხორციელებული ჩანაწერებით ირკვევა ადრესატი ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე არ ცხოვრობს.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე გიორგი კერესელიძეს მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე გიორგი კერესელიძე ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე არ ცხოვრობს, მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი კი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს არბიტრაჟის ვებგვერდზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით.

დაადგინა:

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე გიორგი კერესელიძეს (პირადი 01030037671) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს ,,ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი ფულადი ვალდებულების შესრულების მოთხოვნით.

2. გიორგი კერესელიძეს განემარტოს, რომ:

გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/მ. ლებანიძის ქ. №2, ბინა 11(ყოფ. ბორჯომის ქ.). ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, ,,არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხე, გიორგი კერესელიძეს მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხე გიორგი კერესელიძეს ეცნობოს, რომ 2018 წლის 26 ნოემბერს 12:15 საათზე შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/მ. ლებანიძის ქ. №2, ბინა 11(ყოფ. ბორჯომის ქ.), დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს ,,ნოვა კრედიტი”-ს სარჩელზე, ფულადი ვალდებულების შესრულების მოთხოვნით ნიკოლოზ კუჭავასა და გიორგი კერესელიძის მიმართ.

5. გიორგი კერესელიძეს ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ ,,საქართველოს რესპუბლიკა”-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საქმე № 1/34-2018

საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით

საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

ქ. თბილისი 6 ნოემბერი 2018 წელი

არბიტრი: **ქეთევან ტაბატაძე**

საარბიტრაჟო მოსარჩელე: **შპს „ნოვა კრედიტი”**

საარბიტრაჟო მოპასუხე: **შოთა კისკეიძე**

დავის საგანი: **ფულადი ვალდებულებების შესრულება**

არბიტრმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გამოარკვია:

შპს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2018 წლის 22 ოქტომბერს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი მოპასუხე შოთა კისკეიძის მიმართ ფულადი ვალდებულების შესრულების მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2014 წლის 10 მარტს შპს ,,ნოვა კრედიტსა” და შოთა კისკეიძეს შორის დაიდო №031441468 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს ,,ნოვა კრედიტმა” მსესხებელზე გასცა 1130 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 66 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 2 თვე.

ხელშეკრულების თანახმად, ისეთ შემთხვევაში თუ მსესხებელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას დაარღვევს მას დაერიცხება პირგასამტეხლო ვადაგადაცილებული თანხის 3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან მთლიანი ძირითადი თანხის ვადაგადაცილების შემთხვევაში ძირითადი თანხისა და მიუღებელი სარგებლის ჯამის 0.3 პროცენტი ყოველ ვადაგადაციელებულ დღეზე.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა შოთა კისკეიძის მიმართ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფულადი ვალდებულების შესრულება.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე შოთა კისკეიძეს ორჯერ გაეგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, თუმცა კორესპონდენციის რამოდენიმე მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. როგორც აღნიშნულ გზავნილებზე უფლებამოსილ პირთა მიერ განხორციელებული ჩანაწერებით ირკვევა ადრესატი ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე არ ცხოვრობს.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე შოთა კისკეიძეს მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე შოთა კისკეიძე ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე არ ცხოვრობს, მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი კი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს არბიტრაჟის ვებგვერდზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით.

დაადგინა:

9. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე შოთა კისკეიძეს (პირადი 01020000212) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს ,,ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი ფულადი ვალდებულების შესრულების მოთხოვნით.

10. შოთა კისკეიძეს განემარტოს, რომ:

გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/მ. ლებანიძის ქ. №2, ბინა 11(ყოფ. ბორჯომის ქ.). ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, ,,არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

11. განემარტოს მოპასუხე, შოთა კისკეიძეს მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

12. მოპასუხე შოთა კისკეიძეს ეცნობოს, რომ 2018 წლის 26 ნოემბერს 12:45 საათზე შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/მ. ლებანიძის ქ. №2, ბინა 11(ყოფ. ბორჯომის ქ.), დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს ,,ნოვა კრედიტი”-ს სარჩელზე, ფულადი ვალდებულების შესრულების მოთხოვნით შოთა კისკეიძის მიმართ.

13. შოთა კისკეიძეს ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

14. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

15. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ ,,საქართველოს რესპუბლიკა”-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

16. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

იტალიელებმა უძლიერესი შემადგენლობა შეკრიბეს

იტალიის სარაგბო ნაკრებმა, რომელიც 10 ნოემბერს ფლორენციაში საქართველოს ეროვნულ გუნდთან ტესტ-მატჩს გამართავს, უძლიერესი შემადგენლობა შეკრიბა. ცნობილია, რომ მასპინძლები „ბორჯღალოსნებთან“ შეხვედრას განსაკუთრებული ინტერესით ელიან. „აძურიში“ ქართველ მორაგბეთა ექვს ერში სწრაფვა აღიზიანებთ და არ მალავენ, რომ ჩვენებურთა სამაგალითოდ დასჯა სურთ.

ამ ფონზე გასაკვირი არ ყოფილა, რომ აპენინელთა ირლანდიელმა მთავარმა მწვრთნელმა ქონორ ო'შიმ ჩიკაგოში „სამყურებთან“ სათამაშოდ, ფაქტობრივად, მე-2 შემადგენლობა წაიყვანა, ამჯერად კი ყველა საუკეთესოს უხმო.

ო'შიმ „ბორჯღალოსნებთან“ მატჩისთვის გაფართოებული 34-კაციანი შემადგენლობა დაასახელა, რომელშიც აღიარებულ ლიდერებს ვხედავთ.

„აძურის“ დამრიგებელი საბოლოო რაზმს ხუთშაბათს გამოამზეურებს, გაფართოებული შემადგენლობა კი ასე გამოიყურება: სიმონე ფერარი („ბენეტონი“, 14 კეპი), ანდრეა ლოვოტი („ძებრე“, 27), ტიციანო პასკუალი („ბენეტონი“, 10), ჩერიფ ტრაორე („ბენეტონი“, 2),

ჯოშუა ძილოკი („ძებრე“, 2), ლუკა ბიჯი („ბენეტონი“, 12), ოლივიერო ფაბიანი („ძებრე“, 7), ლეონარდო ჯირალდინი („ტულუზა“, საფრანგეთი, 96), ჯორჯო ბიჯი („ძებრე“, 23), დინ ობადი („ბენეტონი“, 13), მარკო ფუზერი („ბენეტონი“, 30), მარკო ლაძარონი („ბენეტონი“, 3), ალესანდრო ძანი („ბენეტონი“, 106), რენატო ჯიამაროლი („ძებრე“, 3), იოჰან მეიერი („ძებრე“, 1), სებასტიან ნეგრი („ბენეტონი“, 9), სერჯიო პარისე („სტად ფრანსე“, საფრანგეთი, 134), ჯეიკ პოლედრი („გლოსტერი“, ინგლისი, 3), აბრაჰამ სტეინი („ბენეტონი“, 22), ჯიმი ტუივატი („ძებრე“, 1), გულიელმო პალაცანი („ძებრე“, 25), ტიტო ტებალდი („ბენეტონი“, 26), ტომაზო ალანი („ბენეტონი“, 40), კარლო კანა („ძებრე“, 30), ჯულიო ბისენი („ძებრე“, 11), მიკელე კამპანიარო („ექსეთერი“, ინგლისი, 35), ტომაზო კასტელო („ძებრე“, 12), ლუკა მორისი („ბენეტონი“, 17), მატია ბელინი („ძებრე“, 15), ტომაზო ბენვენუტი („ბენეტონი“, 52), ჯეიდენ ჰეივარდი („ბენეტონი“, 10), ლუკა სპერანდინო („ბენეტონი“, 3).

ტრავმების გამო იტალიის ეროვნულ ნაკრებს ამჯერად ვერ დაეხმარებიან ორნელ ჯეგა, ფედერიკო ძანი (ორივე — „ბენეტონი“), ჯოვანი ლიკატა, მაქსიმ მბანდა, მატეო მინოცი, ედოარდო პადოვანი, მარჩელო ვიოლი (ყველა — „ძებრე“), ლეონარდო სარტო (თავისუფალი აგენტი).

კოგა კოგანიძე

◎ ერთა ლიგა

ისინი დასკვნითი მატჩებისთვის ემზადებიან

მოახლოვდა სანაკრებო მატჩების დროც. საქართველო ერთა ლიგის ჯგუფური ეტაპის ორი დასკვნითი შეხვედრისთვის მზადებას დამდეგი ორშაბათიდან დაიწყებს. „ჯვაროსნები“ პირდაპირ ანდორაში შეიკრიბებიან, სადაც 12 ნოემბერს მოიყრიან თავს და მეხუთე ტურის შეხვედრას 15 ნოემბერს ჩაატარებენ ადგილობრივ გუნდთან.

იქამდე კი ვლადიმირ ვაისმა შემადგენლობა დაასახელა, რომელშიც 23 ფეხბურთელია. სლოვაკმა სპეციალისტმა უახლოესი ორი მატჩისთვის ეროვნულ ნაკრებში წინა სიასთან შედარებით ორ ახალ სახეს უხმო — ბაჩანა არაბულს და გიორგი ხარაიშვილს. მათ აქამდეც უთამაშიათ ნაკრებში, მაგრამ ოქტომბერში — არა. ტრავმების გამო ისევ ვერ დაეხმარებიან პარტნიორებს გიორგი მაკარიძე, თორნიკე ოქრიაშვილი, გიორგი პაპუნაშვილი, გიორგი ქვილითაია და ლევან მჭედლიძე, ჯანო ანანიძე კი საერთოდ ვერ მოხვდა შემადგენლობაში. მიზეზი, ალბათ, უთამაშებლობა და სათანადო კონდიციებში არყოფნა უნდა იყოს. სავარაუდოდ, ვაისმა გადაწყვიტა, რომ გუნდის ერთ-ერთი ლიდერი დაასვენოს.

მეკარეები: გიორგი ლორია (უგუნდოდ), როინ კვასხვაძე („ტორპედო“, ქუთაისი), ლაზარე კუპატაძე („საბურთალო“, თბილისი).

მცველები: ოთარ კაკაბაძე („ლუცერნი“, შვეიცარია), სოლომონ კვირკველია („ლოკომოტივი“, მოსკოვი, რუსეთი), დავით ხოჭოლავა („შახტარი“, დონეცკი, უკრაინა), გურამ კაშია („სან ხოსე ერთკვეიკსი“, აშშ), ლაშა დვალი („პოგონი“, პოლონეთი), გიორგი ნავალოვსკი ("დინამო“, მინსკი, ბელარუსი), ჯიმი ტაბიძე („უფა“, რუსეთი).

ნახევარმცველები: ჯაბა კანკავა („ტობოლი“, ყაზახეთი), ნიკა კვეკვესკირი („ტობოლი“, ყაზახეთი), გიორგი აბურჯანია („ლუგო“, ესპანეთი), ვაკო გვილია („ლუცერნი“, შვეიცარია), ოთარ კიტეიშვილი („შტურმი“, ავსტრია), გიორგი მერებაშვილი („ვისლა“, „პლოცკი“, პოლონეთი), გიორგი ჩაკვეტაძე („გენტი“, ბელგია), ვაკო ყაზაიშვილი („სან ხოსე ერთკვეიკსი“, აშშ), ლუკა ზარანდია („არკა“, პოლონეთი), ვახტანგ ჭანტურიშვილი („სპარტაკ-ტრნავა“, სლოვაკეთი), გიორგი ხარაიშვილი („გეტებორგი“, შვედეთი).

თავდამსხმელები: ნიკა კაჭარავა („ანორთოსისი“, კვიპროსი), ბაჩანა არაბული („პუშკაშ — აკადემია“, უნგრეთი).

აქვე გეტყვით, რომ საქართველოს ნაკრები ანდორასთან მატჩის შემდეგ 19 ნოემბერს თბილისში წლის ბოლო შეხვედრას ყაზახეთის ნაკრებთან გამართავს.

მანუჩარ გიორგაძე

◎ თაობა

„დინამო“ ატეიტის თასის მფლობელია

თბილისის „დინამოს“ 14-წლამდელთა შემადგენლობამ ვილნიუსში გამართული ტურნირი — ატეიტის თასი გამარჯვებით დაასრულა. ვასილ გეგუჩაძის გუნდმა ფინალში დუბლინის „ჩერი ორჩარდი“ 2:0 დაამარცხა. თბილისელებმა გადამწყვეტი პაექრობა თავისი უპირატესობით ჩაატარეს და თუ პირველ ტაიმში შექმნილ ერთ სახიფათო მომენტს არ ჩავთვლით, ირლანდიელებს რეალური საგოლე სიტუაცია არც შეუქმნიათ, ბურთები კი საბა გეგიაძემ და ჯადული იობაშვილმა გაიტანეს.

ფინალის შემდეგ დაჯილდოების საზეიმო ცერემონია მოეწყო, რომელზეც ორგანიზატორებმა ქართველი ფეხბურთელებიც გამოარჩიეს. საუკეთესო ნახევარმცველის ტიტული დავით შიოლაშვილმა მოიპოვა, ხოლო ტურნირის საუკეთესო მეკარე ლუკა ჯოჯუა გახდა. დინამოელებმა ფინალამდე ლატვიური „დაუგავპილსი“ 1:0 დაამარცხეს, ესტონურ „კალევს“ 3:1 აჯობეს, ბელარუსის „ნემანი“ 3:0 დაჯაბნეს, ხოლო ლიეტუვის ნაციონალურ საფეხბურთო აკადემიასთან ფრედ — 0:0 ითამაშეს. ნახევარფინალში ჩვენი გუნდი A ჯგუფის გამარჯვებულ ბელარუსის ბატეს შეხვდა, რომელმაც ჯგუფში ინგლისურ „მიდლსბროს“ აჯობა. „ლურჯ-თეთრებმა“ ბატეს 2:0 მოუგეს და ფინალში გავიდნენ.

„დინამო“ თბილისი - „ჩერი ორჩარდი“ დუბლინი 2:0

დინამო: ჯოჯუა, მოლაშვილი, გაფრინდაშვილი, ბაგრატიონი, კვერენჩხილაძე, ცხოვრებაშვილი, გეგიაძე, ხუტიაშვილი, კობახიძე, შიოლაშვილი, იობაშვილი

შეცვლაზე შევიდნენ: ჯანაშია, გოგებაშვილი, როსივერი, თოდუა, დევიძე.

გიორგი შოთაძე

◎ დაუვიწყარი თარიღი

მეორედ — მწვერვალზე

საბჭოთა კავშირის 1978 წლის 41-ე ჩემპიონატი თბილისის „დინამოს“ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. ქართველ ფეხბურთელთა წარმატება კანონზომიერი გახლდათ. გუნდის აღმავლობა თვალსაჩინო მას შემდეგ გახდა, რაც მის სათავეში ნოდარ ახალკაცი მოვიდა. ამ ნიჭიერმა, განსწავლულმა, მაღალკვალიფიციურმა მწვრთნელმა 1976-82 წლებში ყველა სინჯის მედალი მოიპოვა და ორჯერ საუკეთესო-საკავშირო თასს დაეუფლა.

ცხადია, ამ მიღწევათა მიღმა იყო დაუღალავი შრომის და ძიების პროცესი, შემადგენლობის გაძლიერება და საჭირო ფეხბურთელთა შერჩევა. ყოველივე ეს ხდებოდა მაშინდელი ფეხბურთის გართულებულ პირობებში. სიძნელე მართლაც ბევრი იყო, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში გუნდიდან წავიდნენ რეზო ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ვახტანგ ჭელიძე, ზორბეგ ებრალიძე, კახი ასათიანი, გივი ნოდია, გოჩა გავაშელი. მათ შემცვლელებად მოვიდნენ იმედის მომცემი ახალგაზრდები ალექსანდრე ჩივაძე, ვიტალი დარასელია. ნოდარ ხიზანიშვილი, თამაზ კოსტავა, თენგიზ სულაქველიძე, ზაურ სვანაძე, რამაზ შენგელია. როგორც ცნობილია, თაობათა ცვლა სავსებით სამართლიანად ითვლება.მტკივნეულ პროცესად.

ამ მხრივ თბილისის „დინამოში“ პირდაპირ სასწაული მოხდა — ახალგაზრდა ფეხბურთელთა მოსვლამ მხოლოდ გააძლიერა გუნდი. ასე ნაბიჯ-ნაბიჯ შეიკრა

ანსამბლი, რომელიც მომწიფდა მაღალი მიზნებისათვის საბრძოლველად. საჩემპიონო გუნდს თან ახლდა წამყვან ფეხბურთელთა გაუთვალისწინებელი ტრავმები და მწვრთნელებს ხშირად უხდებოდათ მოთამაშეთა სათამაშო პოზიციების შეცვლა. სწორედ ამ სიძნელეებით შეიძლება აიხსნას ნახევარმცველების ალექსანდრე ჩივაძისა და გოჩა მაჩაიძის გადაკვალიფიცირება. მცველებად, საბედნიეროდ, ეს გადაადგილებები ერთობ ეფექტური გამოდგა. მთელი საჩემპიონო სეზონის განმავლობაში — აპრილიდან ნოემბრამდე თბილისელები მტკიცედ ინარჩუნებდნენ ლიდერობას და ფინიშამდე სამი ტურით ადრე მხოლოდ ერთი ქულა იყო საჭირო „ოქროსთვის“. ეს საჩემპიონო ქულა დინამოელებმა მოიპოვეს მოსკოვში „ლოკომოტივის“ წინააღმდეგ, მატჩში, რომელიც ჩატარდა 1978 წლის 5 ნოემბერს 12000 მაყურებლის თანდასწრებით. 14-წლიანი შესვენების შემდეგ მათ მეორედ მოიპოვეს ჩემპიონის ტიტული.

გაგაცნობთ იმ ფეხბურთელებს, რომლებმაც შესანიშნავად ჩაატარეს მომქანცველი სეზონი და თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში ღირსეულად წარმოაჩინეს ქართული ფეხბურთი: დავით გოგია, თამაზ კოსტავა, ალექსანდრე ჩივაძე, თენგიზ სულაქველიძე, გოჩა მაჩაიძე, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, ვახტანგ ქორიძე, ვლადიმერ გუცაევი, დავით ყიფიანი, რამაზ შენგელია. პერიოდულად მათ ეხმარებოდნენ რევაზ ჩელებაძე, ფირუზ კანთელაძე, შოთა ხინჩაგაშვილი, ნოდარ ხიზანიშვილი, დავით მუჯირი, ვახტანგ კოპალეიშვილი, ოთარ გაბელია, ილია რუხაძე, ნოდარ ბაზაზაშვილი, ამირან მინაშვილი, გიორგი ჭილაია, ტარიელ დურდიაძე და დიმიტრი გოგოლაძე. გუნდის დამოძღვრაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით ნოდარ ახალკაცს, კახი ასათიანსა და სერგო კუტივაძეს.

ბეჟან ჩხეიძე
ფესტაფონიდან.

ბავშვები შიმშილობენ, მომავალი გვეღუპება!..

გაეროს ბავშვთა ფონდის „იუნისეფის“ მონაცემებით, საკვების მწვავე დეფიციტის, ან მასთან დაკავშირებული სხვადასხვა მიზეზით, როგორიცაა ორსულთა ანემია, ახალშობილთა მცირეწონიანობა, ფოლიუმის მჟავის ნაკლებობასთან ასოცირებული თანდაყოლილი ანომალიები, არასრულფასოვანი ძუძუთი კვების გამო და სხვა, საქართველოში ყოველწლიურად 300 ბავშვი იღუპება. დაახლოებით 77 ათასი ბავშვი უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს და არსებობს რისკი, რომ ისინიც გოგიტა აბაშიძის ბედს გაიზიარებენ. ამ მონაცემების შესახებ „იუნისეფის“ მიერ ჩატარებული კვლევა ჯერ კიდევ 2012 წლის ივლისში იუწყებოდა. თუმცა, საზოგადოების ყურადღების ცენტრში პრობლემა მხოლოდ ერთი წლის გოგიტას დაღუპვის შემდეგ მოექცა. სულ კი, ბოლო 10 წლის მანძილზე საქართველოში 4 300 ახალშობილი დაიღუპა.

საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდის კომუნიკაციის პროგრამის ხელმძღვანელი **მაია ქურციკიძის** ინფორმაციით, რომელიც „იუნისეფის“ კვლევებს ეყრდნობა, საქართველოში 9.4 %, ანუ 77 ათასი ბავშვი ცხოვრობს უკიდურეს სიღარიბეში, ასევე ამ კვლევის შედეგად გაირკვა, რომ **„ბავშვიანი ოჯახები არიან უფრო ღარიბნი და დაუცველნი, ვიდრე საზოგადოების სხვა ჯგუფები. და არსებული სოციალური დაცვის მექანიზმები, რომლებიც ქვეყანაში მოქმედებს, სათანადოდ ვერ ითვალისწინებს ბავშვების ინტერესებს“. ამავე კვლევის დასკვნაში წლიური მაჩვენებლის შესახებ ვკითხულობთ: „ყოველწლიურად 800 ბავშვი იღუპება 5 წლამდე ასაკის. აქედან 700 იღუპება პირველი 12 თვის განმავლობაში, ხოლო 400 ბავშვი ამ 700-დან იღუპება დაბადებიდან პირველი კვირის განმავლობაში, რომელიც არის ყველაზე კრიტიკული ბავშვის სიცოცხლის შენარჩუნებისათვის. აქედან 300 უკავშირდება ამა თუ იმ კვებასთან დაკავშირებულ დეფიციტს, როგორიცაა, მცირეწონიანობა, ანემიასთან დაკავშირებული პრობლემები და ასე შემდგ“,** — აცხადებს მაია ქურციკიძე.

გაეროს ბავშვთა ფონდმა გარკვეული რეკომენდაციებიც შესთავაზა ხელისუფლებას, მათ შორის:

ფქვილის ფორტიფიკაცია, ანუ გამდიდრება რკინით, ფოლიუმის მჟავით. ასევე ზოგადად საზოგადოების განათლება, რომ მან იცოდეს, გაიაზროს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სწორედ ასეთი ვიტამინები და მიკროელემენტები მათი ჯანმრთელობისთვის. საზოგადოებისგანაც უნდა წამოვიდეს გარკვეული მოთხოვნა ისეთ პროდუქტებზე, რომელიც დღესდღეობით, სამწუხაროდ, არ არის.

ეს რაც შეეხება გაეროს რეკომენდაციებს.

გარდა ამისა, ახალ მთავრობას წერილობით მიმართა ასევე საქართველოში იუნისეფის ბავშვთა ფონდმაც, სადაც კონკრეტული სამოქმედო მიმართულებებია წარმოდგენილი, როგორიც არის განათლება, ჯანდაცვა, სოციალური უზრუნველყოფა. რეკომენდაციები მდგომარეობს შემდეგში: **„უპირველეს ყოვლისა, უნდა შეფასდეს არსებული სოციალური შეღავათების სისტემის ეფექტურობა. მეორე — შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც გადახედავს საჭიროებების შეფასების ფორმულას, ანუ იმ მეთოდოლოგიას, რომლითაც ხდება გარკვეულწილად ოჯახებისთვის სარეიტინგო ქულების მინიჭება. აქ უნდა მოხდეს ბავშვის საჭიროებების უფრო მეტად გათვალისწინება ოჯახებისთვის სარეიტინგო ქულების მინიჭებაში. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დამყარდეს და მჭიდრო გახდეს კავშირი სოციალურ აგენტებს და სოციალურ მუშაკებს შორის“.**

ასევე, მთავარია დაფინანსების გაზრდა სოციალურ პროგრამებში, **„ჩვენი გამოთვლებით, ბავშვთა ყოველთვიური შემწეობის შემოღება 30 ლარის ოდენობით, რომელიც სახელმწიფოს დაუჯდება სულ 25 მილიონი ლარი, ყველაზე მეტად ეფექტიანი იქნება ბავშვთა სიღარიბის შემცირების საკითხში. მაგალითად, თუ უკიდურესი სიღარიბე არის 9.1 პროცენტი, ის ჩამოვა 3.9 პროცენტამდე. ყველაზე უფრო ეფექტიანი ინტერვენცია ამ ეტაპზე იქნება ბავშვთა საყოველთაო შეღავათი, ანუ შემწეობა, რასაკვირველია, პენსიების ზრდასთან ერთად“** — აღნიშნავს საქართველოს გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი.

წყარო: GEOMEDIAPRESS.GE

ნალდი კაცი

სიკეთისათვის დაბადებული

მარმალი ნათქვამი ყოფილა, ღმერთმა ტკბილი ლუკმა ბოლოსთვის შემოინახაო. დიახ, დავით იარალიშვილი 14 ბიძაშვილ-მამიდაშვილს შორის ნაბოლარაა, მაგრამ უფალმა სიკეთის ქმნის ისეთი უნარი დააბერტყა, მთელ შთამომავლობას რომ ეყოფა საამაყოდ და სამაგალითოდ.

მედიკოსთა ოჯახური დინასტიის ღირსეულ წარმომადგენელს, უპირველესად, იმ პიროვნული სიბლისა და ადამიანური სითბოსთვის ემადლიერება პაციენტთა მთელი არმია, სიტყვიერი მალამოს სახით უხვად რომ გასცემს თითოეულის მიმართ, მაგრამ ნათესავ-მეგობართათვის ეს დინჯი ონელი ვაჟკაცი ბევრად უფრო ძვირფასი კაცთმოყვარეობისა და უანგაროების განუსაზღვრელი დოზით გახლავთ, რაც ერთეულებს თუ ამკობთ.

ჩვენს საყვარელ „ტულკას“ დედმამიშვილობაშიც ნაბოლარობა ხვდა წილად, თუმცა, ბადრისაც და თამილასაც ჯანსაღ კონკურენციას უწევს თვისტომთათვის შვებისა და სიხარულის მინიჭებაში, მთავარი საჩუქარი კი სამშობლოსა და საახლობლოს მან და ირმა ლუკავამ შედარებით მოგვიანებით უძღვნეს, როცა ანგელოზივით ტყუპების — მარიამისა და გიორგის მშობლები გახდნენ. ეტყობა, ესეც ყველაზე სწრაფების რაჭული ტრადიციაა.

უსამართლონი ვიქნებით, თუ მადლიერებით არ მოვიხსენიებთ უბრალო რუს ქალბატონს — შურა დეიდას, რომელსაც ალიოშა იარალიშვილმა და ნელი ჩაგუნავამ უმცროსი ვაჟის აღზრდა ანდეს. სწორედ ამ ერთგული მეზობლის შერქმეულია საკუთარი სისხლისა და ხორცის სადარი შვილობილისათვის „დატულკა“, მოგვიანებით „ტულკად“ რომ დაისვეწა.

დიდი საძმოს ბურჯსა და იმედს სულითა და გულით ვუღოცავთ ნახევარსაუკუნოვან იუბილეს. მრავალჟამიერ, ჯიგარო!

გია პლატონიშვილი

ახალქალაქის ინციდენტი სამინისტრომ ობიექტურად გამოიძია

— ამის შესახებ შს მინისტრის მოადგილე ნათია მეზვრიშვილმა განაცხადა.

„ცალსახად შეიძლია იმის თქმა, რომ ეს საქმე ისე, როგორც სხვა საქმეები, რომლებიც არჩევნებს უკავშირდება, შინაგან საქმეთა სამინისტრომ აბსოლუტურად ობიექტურად გამოიძია, საკმაოდ მოკლე ვადაშიც გამოიძია — გამომდინარე იქიდან, რომ საკითხი საკმაოდ კომპლექსური იყო. აღკვეთი ღონისძიებასთან დაკავშირებით მოვისმინე რამდენიმე განცხადება. აღკვეთი ღონისძიების საკითხის შეფარდება არ არის შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენცია, თუმცა როგორც იურისტი თამამად შეიძლია ვთქვა, რომ ზოგადად აღკვეთი ღონისძიების საკითხი დანაშაულის სიმძიმეს არ უკავშირდება. ეს არის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დადგენილი სტანდარტი, მათ შორის ამ თემით სპეკულაციები და დანაშაულის სიმძიმეზე ამის მიბმა უბრალო სამართლებრივად და იურიდიულად არასწორია“, — განაცხადა ნათია მეზვრიშვილმა.

ავტოავარია თერჯოლასთან

თბილისი-ჟუთაისის ავტობანზე, თერჯოლის გადასახვევთან ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ინფორმაციით, ავტომობილი გზის სავალი ნაწილიდან გადავარდა და ცეცხლი გაუჩნდა. მომხდარი ავარიის შედეგად ოთხი ადამიანი მძიმედ დაშავდა, რომლებიც საავადმყოფოში გადაიყვანეს.

საქართველოში მიწისძვრა მოხდა

მიწისძვეშა ბიძგები გუშინ გამთენიისას ორჯერ, 3-წუთიანი შუალედით დაფიქსირდა.

პირველი ბიძგები ონთან დილის 5:17 საათზე დაფიქსირდა და მისი სიმძლავრე 5.1 მაგნიტუდა იყო. 3 წუთის შემდეგ კი, შედარებით მცირე ბიძგები განმეორდა. მიწისძვრას ნგრევა არ მოჰყოლია.

აქტიური პროცესები ნოემბერში

ნოემბერში გეოფიზიკური აქტივობის გაძლიერება მოსალოდნელია 6-17, 21-24, 29 და 30 რიცხვებში. ამ დღეებში სავარაუდოა ციკლონების და ქარიშხლების ჩამოყალიბება, ყველა სახეობის აქტივობის გაძლიერება, სეისმოაქტივობის მოჭარბება და სოციუმში დაძაბულობის ზრდა.

7 — ახალმთვარეობა მორიელის თანავარსკვლავედში. მოსალოდნელია ქრონიკულ დაავადებათა გამძაფრება, არტერიული წნევის ნახტომისებრი ცვლა, შიშების მოძალება, გამღიზიანებლობა.

8 — მთვარისა და იუპიტერის შეერთება მშვილდოსნის თანავარსკვლავედში. შესაძლებელია თეძოების სახსრების დაავადებები, შეშუპება და ქვედა კიდურების რევმატიზმი, საჯდომის ნერვის ანთება.

9 — მთვარისა და მერკურის შეერთება მშვილდოსნის თანავარსკვლავედში. გამორიცხული არ არის ბრონქებისა და ფილტვების ანთება.

11 — მთვარის სატურნთან შეერთება თხის რქის თანავარსკვლავედში. სავარაუდოა, მუხლების სახსრების დაავადებათა გამძაფრება, რევმატული შეტევა, ართრიტისა და ხერხემლის ოსთეოქონდროზის გამწვავება.

15 — მთვარის პირველი მეოთხედი მერწყულის თანავარსკვლავედში. მოსალოდნელია ნერვული სისტემის დაავადებები, ფეხის კუნთების კრუნჩხვები, საერთო სისუსტე.

16 — მთვარისა და მარსის შეერთება თევზების თანავარსკვლავედში. სავარაუდოა დეპრესია, ალკოჰოლისადმი მიდრეკილება.

17 — მთვარისა და ნეპტუნის შეერთება თევზების თანავარსკვლავედში. მომატებულია ქიმიური და სამკურნალო პრეპარატებისადმი ალერგია, დიდია ავარიული და ტრავმასახიფათო სიტუაციების წარმოშობის ალბათობა.

21 — მთვარისა და ურანის შეერთება ვერძის თანავარსკვლავედში. რეკომენდებულია უარის თქმა თამბაქოს მოწევაზე, ყავის სმაზე, შოკოლადის, აგრეთვე ცხიმიანი და მძიმე საკვების მიღებაზე.

23 — სავსემთვარეობა ტყუპების თანავარსკვლავედში. ახალმთვარეობისას არ არის რეკომენდებული ოპერაციების, აცრებისა და ანესთეზიის პროცედურების დაგეგმვა.

30 — მთვარის ბოლო მეოთხედი ქალწულის თანავარსკვლავედში. მოსალოდნელია ქრონიკულ დაავადებათა გამძაფრება, შეიძლება მოჭარბებული გამღიზიანებლობის წარმოშობა, უყურადღებობის, უძილობისა და მოდუნების მომატება.

ფიროსმანის ნამუშევრები გერმანიაში გამოიფინება

ნიკო ფიროსმანის ნამუშევრები გერმანიაში, დიუსელდორფის ხელოვნების მუზეუმში, გამოიფინება. „Museum global - Microhistories of an Ex-centric Modernism“ საექსპოზიციო სივრცე 5 თვის განმავლობაში საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ნიკო ფიროსმანაშვილის მირზაანის სახელმწიფო მუზეუმისა და ეროვნული მუზეუმის კოლექციებში დაცულ ნამუშევრებს დაეთმობა. გამოფენაზე, სახელწოდებით K20-Kunstsammlung NRW, მიმდინარე წლის 10 ნოემბრიდან 2019 წლის 10 მარტამდე ქართველი მხატვრის ნამუშევრები: „მალაკნების ქეიფი“, „ხილის დუქანი“, „ორთაჭალის ტურფა“ და ნატურმორტი პაბლო პიკასოს, ამადეო მოდილიანის, მარკ შაგალის, ვასილი კანდინსკის, კაზიმირ მალევიჩისა და სხვათა ნამუშევრებთან ერთად იქნება ექსპონირებული.

წინასაგამოფენო მზადების პროცესში ჩართულია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მუზეუმებისა და მუზეუმნაკრძალების სამსახური, რომელსაც დიუსელდორფში სამსახურის უფროსის მოადგილე ირმა დოლიძე წარმოადგენს. საქართველოს ეროვნული მუზეუმის მხრიდან კი ქართულ დელეგაციას კონსერვატორი ეველინა კარსელი უხელმძღვანელებს.

ნიკო ფიროსმანის ნამუშევრების ტრანსპორტირებას წინ უძღოდა მნიშვნელოვანი და ხანგრძლივი პროცედურული და მოსამზადებელი სამუშაოები. გამოფენა „Museum global - Microhistories of an Ex-centric Modernism“ მოიცავს 1910-1960 წლების პერიოდს. ამ დროისათვის გამოფენა მზადების პროცესშია.

უბერებელი „შავი ავაზა“

მიუხედავად იმისა, რომ უკვე 48 წლისა მოყრილა, ლეგენდარული ბრიტანელი მოდელი და მომღერალი ნაომი კემპბელი კვლავინდებურად მიმზიდველად გამოიყურება და ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ მასზე მიმზიდველსა და სექსუალურ ქალბატონებს მთელს დუნიაზე იშვიათად შეხვდებით.

ამ ბოლო დროს ნაომიმ საზოგადოებაში გამოჩენას განსაკუთრებულად მოუხშირა და მისი დანახვა ლონდონის ქუჩებში მოსეირნე რიგით ადამიანებსაც თავისუფლად შეუძლიათ. გასულ კვირას „შავი ავაზა“ საზოგადოებამ „სტემფორდ ბრიჯის“ სტადიონზეც იხილა და პირველად აღმოაჩინეს, რომ ლეგენდარულ მოდელს ლონდონის „ჩელსის“ თამაში აინტერესებდა.

იგი ზოგადად, სპორტული ცხოვრების წესის ერთ-ერთი ცნობილი მქადაგებელია, ეს ქალი ხშირად მონაწილეობს თამბაქოსა და ნარკოტიკების საწინააღმდეგო სხვადასხვა აქციებში და ყველას ვარჯიშისა და ჯანსაღად კვებისკენ მოუწოდებს.

ყურადღება! ყურადღება!

ძვირფასო ქართველო და საქართველოსთან დამეგობრებულო უცხოელო ბიზნესმენებო, უნიკალური სამკურნალო თვისებებით განთქმულ კურორტ საირმეში იყიდება 2433 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი, რომელიც გამოდგება ნებისმიერი სოციალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ან სასტუმრო კომპლექსის ასაშენებლად.

ფასი შეთანხმებით!

დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:
599-79-76-79; 599-36-00-35; 599-53-76-16.

სანთელი

გამომცემლობა „სამშობლოს“ პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარეს ლეილა დუნდუას ვუცხადებთ ღრმა მწუხარებას დის

ზაირა დუნდუა-შანიძის

გარდაცვალების გამო.

გამომცემლობა „სამშობლოს“ კოლექტივი.

გაზეთის გამოსაწერად მიმართეთ:

„ელვა სერვისი“
238-26-73; 577 99 16 51
238-26-14; 577 30 88 47

„მაცნე“
214-74-22; 599 982 777

„პლანეტა-ფორტე“
292 18 59; 579 79 99 08

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ რედაქციაშიც:
2-99-02-10;
599 797 679.

„ჯეომედია“
266-51-13;
593 209 526

გაზეთი შეგვიძლია მოგაწოდოთ ელექტრონულადაც, ელ.ფოსტის საშუალებით.

ფიქრთ გასართველად

სხვათაგან თქმული

სკლეროზი ის მდგომარეობაა, როცა ხელებს აღარ ახსოვთ, რა არის ქალი.

* * *

რაღა ოცნებები და რაღა ყულაბები, ერთნიც და მეორენიც ფულისთვის იმსხვრევიან.

* * *

დემოკრატია ის არის, როცა ფინიები სპილოს ირჩევენ, რათა მერე უყეფონ.

* * *

მაღვიძარა ორ შემთხვევაში სძულთ – როცა რეკავს და როცა არ დარეკა.

* * *

ყველაზე ძნელია კეთილი ნების დამორჩილება.

* * *

თუ სულელურ კითხვებს არ დასვამ, ვერც ვეღარასოდეს ჭკუაში ვერ ჩავარდები.

* * *

დრო არ კურნავს, მხოლოდ გვეარშიყება.

* * *

ქალი არაყი არ არის, დიდხანს ხვეწნა არ უნდა.

* * *

საერთო მიზნისკენ სწრაფვა ყველასთვის წინ მოძრაობა არ არის.

* * *

ყველაზე მართალი რეკლამაში ტელეფონი და მისამართია.

* * *

ინფლაცია ის არის, როცა ცხოვრება ძვირფასი ხდება, ხოლო თვითონ ცხოვრება იაფდება.

* * *

მოხელეები შპროტებივით არიან, ერთმანეთს აწვანან ზეთში უთავებოდ.

* * *

ფული ბავშვივით არის: იმასთან ერთად მოთხოვნებიც იზრდება.

* * *

პესიმისტი ავადმყოფობისგან კვდება, ოპტიმისტი – წამლებისგან.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

რედაქციას სასწრაფოდ ესაჭიროება კვალიფიციური დამკაბადონებელი. გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ: კოსტავას ქ. №21, II სართული.
ტელეფონი: 599-79-76-79, 599-53-76-16, 599-36-00-35.

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.7383; ევრო - 3.1162;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5628;
100 რუბლი - 3.9742; თურქული ლირა - 0.5016;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6155;
1000 სომხური დრამი - 5.6113.

ამინდი 7 ნოემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+1,	დღე	+15
მთიანი რაიონები -	ღამე	-5,	დღე	+16
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+9,	დღე	+23
მთიანი რაიონები -	ღამე	+1,	დღე	+21
თბილისი:	ღამე	+4,	დღე	+17

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge